შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№47 (9.856)

1 - 8 დეკემბერი 2018 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

საქართველო

სალომე ზურაბიშვილი — 59.52% — 1 147 625 ხმა

გრიგოლ ვაშაძე — 40.48% — 780 635 ხმა

დედოფლისწყარო

სალომე ზურაბიშვილი — 67.91% — 8 360 ხმა

გრიგოლ ვაშაძე — 32.09% — 3 951 ხმა

პირველი ქალი პრეზიდენტი

გვ. 3

„ბუნებრივი ანტიბიოტიკი“ – ჭაერი, რომელიც გვჭირდება

გვ. 4

აივ/შიდსი დაავადებაა და არა განაჩენი!

გვ. 4

დასაქმებულთა გენდერული თანასწორობა

გვ. 6

ექსკლუზიური რეპორტაჟი ისტორიული ჰერეთიდან

გვ. 5-8

გვ. 2

ქართული ჭიდაობა იუნესკომ მსოფლიო არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში შეიტანა

ეურადღება!

გაზეთი „შირაქი“ არ ღალატობს ტრადიციას და კვლავაც გთავაზობთ ფერად **საახალწლო კალენდარს.** თუ გსურთ, თქვენი ბავშვის ფოტო განთავსდეს 2018 წლის ფერად კალენდარში, გთხოვთ წარმოადგინეთ ის 28 დეკემბრის ჩათვლით რედაქციაში. შეგახსენებთ, რომ კალენდარში ფოტოს განთავსება ფასიანია. 1 ფოტოსურათი 15 ლარი ეღირება. მაგრამ, თუ, ერთ ფოტოში ორი, ან მეტი ბავშვი იქნება - 20 ლარი.

იჩქარეთ, რაოდენობა შეზღუდულია!!!

C M Y K

დედოფლისწყაროს ყველა უბნის შედეგები

საპრეზიდენტო არჩევნების შედეგები დედოფლისწყაროს №14 ოლქში ასეთია: სალომე ზურაბიშვილი - 67, 91% (8 360 ხმა); გრიგოლ ვაშაძე - 32, 09% (3 951 ხმა);

დედოფლისწყაროს შედეგები უბნების მიხედვით ასე გამოიყურება:

№1 ქ. დედოფლისწყარო (კულტსახლი)
1117 ამომრჩევლიდან ხმა მისცა 617
სალომე ზურაბიშვილი - 403 ხმა
გრიგოლ ვაშაძე - 198 ხმა

№2 ქ. დედოფლისწყარო №2 (მეორე სკოლა)
1175 ამომრჩევლიდან ხმა მისცა 576
სალომე ზურაბიშვილი - 366 ხმა
გრიგოლ ვაშაძე - 185 ხმა

№3 ქ. დედოფლისწყარო (ელია)
1437 ამომრჩევლიდან ხმა მისცა 836
სალომე ზურაბიშვილი - 558 ხმა
გრიგოლ ვაშაძე - 260 ხმა

№4 სოფელი არგოშიკი
1188 ამომრჩევლიდან ხმა მისცა 735
სალომე ზურაბიშვილი - 465 ხმა
გრიგოლ ვაშაძე - 258 ხმა

№5 სოფელი ოზაანი
895 ამომრჩევლიდან ხმა მისცა 597
სალომე ზურაბიშვილი - 405 ხმა
გრიგოლ ვაშაძე - 181 ხმა

№6 სოფელი გამარჯვება
1122 ამომრჩევლიდან ხმა მისცა 627
სალომე ზურაბიშვილი - 449 ხმა
გრიგოლ ვაშაძე - 161 ხმა

№7 სოფელი ხორნაბუჯი
1075 ამომრჩევლიდან ხმა მისცა 614
სალომე ზურაბიშვილი - 395 ხმა
გრიგოლ ვაშაძე - 207 ხმა

№22 სოფელი ხორნაბუჯი (მუზეუმი)
846 ამომრჩევლიდან ხმა მისცა 428
სალომე ზურაბიშვილი - 276 ხმა
გრიგოლ ვაშაძე - 139 ხმა

№8 სოფელი ზემო მაჩხაანი (სკოლა)
954 ამომრჩევლიდან ხმა მისცა 612
სალომე ზურაბიშვილი - 385 ხმა
გრიგოლ ვაშაძე - 217 ხმა

№9 სოფელი ზემო მაჩხაანი (კულტსახლი)
984 ამომრჩევლიდან ხმა მისცა 690
სალომე ზურაბიშვილი - 446 ხმა
გრიგოლ ვაშაძე - 237 ხმა

№10 სოფელი მირზაანი
491 ამომრჩევლიდან ხმა მისცა 371
სალომე ზურაბიშვილი - 319 ხმა
გრიგოლ ვაშაძე - 43 ხმა

№11 სოფელი სამრეკლო (კულტსახლი)
1100 ამომრჩევლიდან ხმა მისცა 707
სალომე ზურაბიშვილი - 417 ხმა
გრიგოლ ვაშაძე - 258 ხმა

№21 სოფელი სამრეკლო (სკოლა)
660 ამომრჩევლიდან ხმა მისცა 413
სალომე ზურაბიშვილი - 243 ხმა
გრიგოლ ვაშაძე - 156 ხმა

№12 სოფელი ზემო ქედი (კულტსახლი)
1165 ამომრჩევლიდან ხმა მისცა 583
სალომე ზურაბიშვილი - 432 ხმა
გრიგოლ ვაშაძე - 147 ხმა

№13 სოფელი ზემო ქედი (ბაღი)
767 ამომრჩევლიდან ხმა მისცა 401
სალომე ზურაბიშვილი - 276 ხმა
გრიგოლ ვაშაძე - 118 ხმა

№14 სოფელი არხილოსკალო
1032 ამომრჩევლიდან ხმა მისცა 511
სალომე ზურაბიშვილი - 412 ხმა
გრიგოლ ვაშაძე - 91 ხმა

№15 სოფელი ქვემო ქედი
820 ამომრჩევლიდან ხმა მისცა 430
სალომე ზურაბიშვილი - 316 ხმა
გრიგოლ ვაშაძე - 106 ხმა

№23 სოფელი ქვემო ქედი (ყოფილი სკოლა)
616 ამომრჩევლიდან ხმა მისცა 299
სალომე ზურაბიშვილი - 191 ხმა
გრიგოლ ვაშაძე - 104 ხმა

№16 სოფელი სამთაწყარო
1127 ამომრჩევლიდან ხმა მისცა 615
სალომე ზურაბიშვილი - 368 ხმა
გრიგოლ ვაშაძე - 236 ხმა

№17 სოფელი ფიროსმანი
515 ამომრჩევლიდან ხმა მისცა 316
სალომე ზურაბიშვილი - 218 ხმა
გრიგოლ ვაშაძე - 95 ხმა

№18 სოფელი საბათლო
360 ამომრჩევლიდან ხმა მისცა 238
სალომე ზურაბიშვილი - 179 ხმა
გრიგოლ ვაშაძე - 59 ხმა

№19 ქ. დედოფლისწყარო (ვეტ-ლაბორატორია)
1560 ამომრჩევლიდან ხმა მისცა 842
სალომე ზურაბიშვილი - 537 ხმა
გრიგოლ ვაშაძე - 277 ხმა

№20 ქ. დედოფლისწყარო (მესამე ბაღი)
914 ამომრჩევლიდან ხმა მისცა 534
სალომე ზურაბიშვილი - 304 ხმა
გრიგოლ ვაშაძე - 218 ხმა

კენჭისყრის დღე და დედოფლისწყარო

საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნები დასრულდა. ამომრჩეველთა მაღალი აქტივობა იყო დედოფლისწყაროშიც, სადაც 21 920- დან ხმა განახორციელა 12 592 ამომრჩეველმა. დამოუკიდებელმა კანდიდატმა კახეთის რეგიონში ყველაზე მეტი მხარდაჭერა სწორედ დედოფლისწყაროში მიიღო და 8360 ხმით- 3951 ხმის წინააღმდეგ გრიგოლ ვაშაძე დამაჯერებელი შედეგით დაამარცხა.

იყო რეგიონები, სადაც 28 ნოემბერი ხმაურიანი და პრობლემებით აღსავსე აღმოჩნდა.ერთი შეხედვით, საკმაოდ მშვიდად მიმდინარეობდა საარჩევნო პროცესი დედოფლისწყაროში. მაინც როგორი იყო კენჭისყრის დღე დედოფლისწყაროში?- ამის შეფასება ვთხოვეთ როგორც საარჩევნო ადმინისტრაციას, ასევე სადამკვირვებლო ორგანიზაიის წარმომადგენელს.

დედოფლისწყაროს №14 საოლქო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ნინო მჭედლიშვილის შეფასებით, „კენჭისყრის დღემ მშვიდ ვითარებაში ჩაიარა, არანაირ ექსცესს ადგილი არ ჰქონია. არჩევნებს აკვირდებოდნენ როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები.

დაფიქსირდა დარღვევები, ძირითადად, პროცედურული ხასიათის, რომლებიც მალევე აღმოიფხვრა. საარჩევნო უბნებზე დაწერილი საჩივრების უმეტესობაც სწორედ ამ სახისაა.მაგალითად, N20 უბანზე დენი გაითიშა, რაც გამოიწვია ელექტრო სადენების გადახურებამ გამათბობლების სიჭარბის გამო. ამ ფაქტს არ უმოქმედია არც არჩევნების მიმდინარეობაზე და არც ხმის დათვლის პროცესზე.

ერთი საჩივარი ეხებოდა საარჩევნო სიაში აღმოჩენილ გარდაცვლილს. როგორც გაირკვა, ოჯახის წევრებს გარდაცვალების მოწმობა არ ჰქონდათ აღებული, რის გამოც ის რეგისტრაციიდან ვერ მოიხსნებოდა.

საოლქო-საარჩევნო კომისიაში ორი საჩივარი შემოვიდა-„სამართლიანი არჩევნებისა“ და „ნაციონალური მოძრაობის“მიერ.

საბოლოო ჯამში შეიძლება ითქვას, რომ დედოფლისწყაროში საარჩევნო გარემოც და კენჭისყრის დღეც საკმაოდ მშვიდი იყო.“

გაზეთი „შირაქი“ დაუკავშირდა „სამართლიანი არჩევნების“ წარმომადგენელს და არჩევნების შეფასება სთხოვა მას. ნანა დევიძე 28 ნოემბერს დედოფლისწყაროში იმყოფებოდა და უშუალოდ აკვირდებოდა არჩევნებს. როგორც მან აღნიშნა, „არჩევნები არ არის მარტო კენჭისყრის დღე. ის მოიცავს წინასაარჩევნო პერიოდს, არჩევნების დღეს და მის შემდგომ პერიოდს. საპრეზიდენტო არჩევნებს მე ვერ შევაფასებ, ეს შეგიძლიათ იხილოთ ჩვენს ოფიციალურ გვერდზე, მაგრამ დედოფლისწყაროსთან დაკავშირებით, მე შემიძლია ვისაუბრო იმ დარღვევებზე, რომლებსაც უშუალოდ მე, როგორც დამკვირვებელი შევესწარი. N20 უბანზე ადგილი ჰქონდა დამკვირვებლის უფლების შეზღუდვას, რაზეც დაიწერა საჩივარი. ის ადმინისტრაციული დარღვევაა და 1 თვის ვადაში განიხილება.

უშუალოდ, საარჩევნო უბანზე დარღვევა არ დაფიქსირებულა, მაგრამ უბნის გარეთ იყვნენ მობილიზებულნი პარტიის კოორდინატორები, რომლებიც აწარმოებდნენ ამომრჩეველთა აღრიცხვას“- განუცხადა „სამართლიანი არჩევნების“ წარმომადგენელმა გაზეთ „შირაქს“.

ინგა ჯიოლაშვილი

ქართული ჭიდაობა იუნესკომ მსოფლიო არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში შეიტანა

ქართული ჭიდაობა იუნესკომ მსოფლიო არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში შეიტანა. გადაწყვეტილება 29 ნოემბერს, მავრიკიის ქალაქ პორტლუისში იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მთავრობათა შორისი კომიტეტის მე-13 სესიაზე მიიღეს.

იუნესკოს მე-13 სესიას ქართული დელეგაციაც დაესწრო, რომლის შემადგენლობაში საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დირექტორი ნიკოლოზ ანთიძე, ამავე სააგენტოს საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის ხელმძღვანელი მანანა ვარძელაშვილი, საქართველოში იუნესკოს საქმეთა ეროვნული კომისიის გენერალური მდივანი ქეთევან კანდელაკი და ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი გელა ბერუაშვილი იყვნენ.

„ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის ინიციატივით 2014 წელს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ ქართულ ჭიდაობას არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიანიჭა. 2016 წელს კი, პრემიერ-მინისტრის დადგენილებით, ქართულ ჭიდაობას ეროვნული კატეგორია განესაზღვრა. შემდგომ, აღნიშნული საკითხი, გადაიგზავნა იუნესკოში, იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით ნუსხაში შეტანის მიზნით. ჭიდაობა სპორტის უძველესი სახეობაა, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული საქართველოში. მისი, როგორც სპორტის ეროვნული სახეობის სიძველეზე მეტყველებს „ალავერდის“ კედელზე შესრულებული ჭიდაობის სცენაც. სცენაზე აღბეჭდილი პერსონაჟთა სახეები, სამოსი და მოძრაობის პლასტიკა, ერთმნიშვნელოვნად მიანიშნებს ქართულ ტრადიციულ საჭიდაო ხელოვნებაზე. მსგავსი შეჯიბრება საქართველოში თან სდევდა რელიგიურ დღესასწაულებს.

ამგვარად, ქართული ჭიდაობა ჩვენი ერის იდენტობის განმსაზღვრელია ქართული ჭიდაობა 200-მდე ილეთსა და კონტრილეთს ითვლის; კლასიფიცირებულია ექვსი ძირითადი დარგი: ცერულები, სარმები, თეძოები, მოგვერდები, კაურები და კისრულები. მუსიკალური აკომპანიმენტი ქართული ჭიდაობის ორგანული და განუყოფელი ნაწილია“ — აცხადებენ სამინისტროში.

დღეის მდგომარეობით იუნესკოს კულტურული მემკვიდერობის წარმომადგენლობით ნუსხაში ოთხი ქართული არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია შესული:

ქართული მრავალხმიანობა (2001 წელი)

ქვევრის ღვინის დაყენების უძველესი ქართული ტრადიციული მეთოდი (2013 წელი)

ქართული ანბანის 3 სახეობის ცოცხალი კულტურა (2016 წელი)

ქართული ჭიდაობა (2018 წელი)

პირველი ქალი პრეზიდენტი

მინი დოსიე: **სალომე ზურაბიშვილი დაიბადა 1952 წლის 18 მარტს პარიზში, ქართული პოლიტიკური ემიგრაციის მოღვაწის, წლების მანძილზე საფრანგეთის ქართული სათვისტომოს თავმჯდომარის, ლევან ზურაბიშვილის ოჯახში. დიპლომატიური კარიერა დაიწყო 1974 წელს რომში (კირინალი), საფრანგეთის საელჩოს მესამე მდივანის თანამდებობით. 1977-1980 წლებში მუშაობდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში (ნიუიორკი), საფრანგეთის მუდმივმოქმედი მისია, მეორე მდივნის თანამდებობაზე. 1980-1984 წლებში – საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ანალიზისა და პროგნოზის ცენტრი.**

1984-1988 - ვაშინგტონი, საფრანგეთის საელჩო, პირველი მდივანი; 1988-1989 - ვენა,ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის კონფერენცია, პირველი მდივანი; 1989-1992 - ნჯამენა (ჩადი) საფრანგეთის საელჩო, მეორე მრჩეველი; 1992-1993 - ბრიუსელი,ევროატლანტიკურ საბჭოში საფრანგეთის მუდმივმოქმედი მისია, პირველი მდივანი; 1993-1996 - ბრიუსელი, დასავლეთ ევროპის კავშირში საფრანგეთის მუდმივი წარმომადგენლობა, წარმომადგენლის მოადგილე; 1996-1998 - პარიზი, საგარეო საქმეთა მინისტრის კაბინეტის მრჩეველი; 1997-1998 - პარიზი, საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექცია; 1998-2001 - პარიზი, საგარეო საქმეთა სამინისტროს სტრატეგიის საკითხთა, უშიშროებისა და განათლების სამმართველო; 2001-2003 - პარიზი, ეროვნული თავდაცვის გენერალური სამდივნოს საერთაშორისო და სტრატეგიულ საკითხთა ხელმძღვანელი

2003-2004 – საფრანგეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში

2004-2005 – საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი

2005 – „სალომე ზურაბიშვილის საზოგადოებრივი მოძრაობის“ ლიდერი

2006 – პოლიტიკური პარტია „საქართველოს გზის“ ლიდერი

2006 – საფრანგეთის პოლიტიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტი, პროფესორი

2010 – გაეროს უშიშროების საბჭოს სანქციების კომიტეტის ირანის ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელი.

სალომე ზურაბიშვილი, როგორც საგარეო საქმეთა მინისტრი, იყო მთავარი მომლაპარაკებელი, რომელმაც შეთანხმებას მიაღწია საქართველოდან რუსული ბაზების გაყვანის შესახებ. ხელშეკრულებაზე ხელისმომწერი პირი რუსეთის მხრიდან იყო რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი (2005 წლის 19 მაისი). მინისტრობის დროს შექმნა „საქართველოს მეგობარი სახელმწიფოების ახალი ჯგუფი“, რომლის ნევრებიც არიან შემდეგი სახელმწიფოები: უკრაინა, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, რუმინეთი, ბულგარეთი, ჩეხეთის რესპუბლიკა და პოლონეთი, რომლებიც არიან დამხმარე სახელმწიფოები ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანების საკითხში.

საქართველოს მეხუთე პრეზიდენტის ვინაობა ცნობილია – საყოველთაო მოგილიზაციის და ლამის სამკვდრო-სასიცოცხლო ომად გამოცხადებული მეორე ტურის შემდეგ სალომე ზურაბიშვილი გახდა პირველი ქალი და ხალხის მიერ ბოლოჯერ არჩეული პრეზიდენტი. ღამის 8 საათის შემდეგ „ოცნების“ მომხრეები გათენებამდე მანძანების სიგნალითა და შეძახილებით აღნიშნავდნენ დამოუკიდებელი კანდიდატის გამარჯვებას, ხოლო „ნაციონალებს“ სახე ჩამოსტიროდათ, საუბროგდნენ, რომ არჩევნები არადემოკრატიულად ჩატარდა და ქვეყანამ უკან გადადგა ნაბიჯი. მიხეილ სააკაშვილმა კი ჰოლანდიიდან განაცხადა, რომ არჩევნები გაყალბდა და მომხრეებს დაუმორჩილებლობისა და ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების მოთხოვნისკენ მოუწოდა.

მომავალი პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი მხოლოდ 1 საათის შემდეგ გამოჩნდა ჟურნალისტებთან ვარდების მოედანზე, საკუთარ საარჩევნო შტაბში, სადაც განაცხადა, რომ „დღეს გაკეთდა პრინციპული არჩევანი“, შემდეგ მადლობა გადაუხადა საზოგადოებას, ოჯახს, მმართველ პარტიას და ჟურნალისტებსაც კი და პირობა დადო, რომ მართალია, საარჩევნო პერიოდში ჟურნალისტებს ხშირად არ პასუხობდა, მაგრამ პრეზიდენტობის დროს ის მეგობრული იქნება.

რუსთავი 2“-ის დაკვეთით „ედისონ რისერჩის“ ეგზიტპოლით სალომე ზურაბიშვილს 55%-მა დაუჭირა მხარი, გრიგოლ ვაშაძეს - 45%-მა. „იმედის“ დაკვეთით „გელაპის“ ეგზიტპოლით ზურაბიშვილმა მიიღო - 58%, ვაშაძემ - 42%. როგორც კი ორივე ეგზიტპოლის შედეგი გამოცხადდა, „ოცნების“ ოფისის ეზოში, სადაც ბიძინა ივანიშვილი, „ოცნების“ სხვა ლიდერები და მხარდამჭერები იყვნენ შეკრებილები, დიდი მილოცვები დაიწყო, შემდეგ ტრიბუნაზე გამოჩნდა ბიძინა ივანიშვილი, რომელმაც მადლობა გადაუხადა ამომრჩევლებს ნდობისთვის, გუნდს - კარგი მუშაობისთვის და განაცხადა, რომ „ოცნება“ მაქსიმუმს გააკეთებს, რომ საზოგადოებას რასაც დაჰპირდა, ყველაფერი გააკეთოს. ივანიშვილის შემდეგ „ოცნებიდან“ განცხადებები ბევრმა გააკეთა და ძირითადად აცხადებდნენ იმას, რომ არჩევნების მეორე ტური წარსულზე უარის თქმა იყო. გარდა ამისა, სააკაშვილის მიერ „დაუმორჩილებლობაზეც“ გაკეთდა კომენტარები. „როდესაც ჩვენ მოსალოდნელ არეულობაზე ვსაუბრობდით, ამას მისი ტელევიზიიდან აქილიკებდნენ. სააკაშვილის მიზანია, ქაოსი და მღვრიე წყალში თევზის დაჭერა, მაგრამ მისი დასაჭერი თევზები აღარ არსებობს. ის არის წარსული“, - განუცხადა ჟურნალისტებს მამუკა მდინარაძემ.

„ოცნებაში“ ზეიმის პარალელურად დიდი იმედგაცრუება იყო გაერთიანებული ოპოზიციის შტაბში, სადაც ეგზიტპოლების შედეგების მოსმენის შემდეგ საპრეზიდენტო კანდიდატმა გრიგოლ ვაშაძემ თქვა, რომ როგორი შედეგითაც არ უნდა დამთავრდეს ეს არჩევნები, შედეგი მიღწეულია - გაერთიანებული ოპოზიცია შედგა და „ყველაფერი ახლა იწყება“. მისი თქმით, ე.წ. ქურდულმა ოცნებამ დაკარგა ლეგიტიმაციის ბოლო ნიშანი. „ასეთი არჩევნები საქართველოში ჯერ არ ჩატარებულა. ვისი მობილიზაციაც ხელისუფლებას შეეძლო, ყველას მობილიზაცია მოხდა. მოხდა ყველას მოსყიდვა. ყველა კრიმინალი, კორუფციონერი, ნარკომანი - ყველა საქმეში იყო ჩართული“, - თქვა ვაშაძემ. შტაბის ხელმძღვანელმა გიორგი ვაშაძემ განაცხადა, რომ არჩევნები ლეგიტიმური არ არის და რომ ტოტალური დაშინებისა და ზეწოლის ფაქტების მიუხედავად, კონკრეტულ უბნებში გრიგოლ ვაშაძე იმარჯვებს. მისი თქმით, „თითოეულ ხმას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა“ და მხარდამჭერებს მოუწოდა, საარჩევნო უბნების მაქსიმალურად გამაგრება და ოქმების დაცვა...

მოგვიანებით მიხეილ სააკაშვილმა ვიდეომიმართვა გაავრცელა, სადაც თქვა, რომ რაც ჩატარდა, ეს არ იყო ლეგიტიმური არჩევნები და „ბინძურმა ოლიგარქმა“ ხალხს თავზე გადაახია კონსტიტუცია. „დღეიდან ბიძინა ივანიშვილი აღარ არის ლეგიტიმური მმართველი. მე არ ვაღიარებ და ქართულ საზოგადოებას მოვუწოდებ, არ აღიაროს ამ არჩევნების შედეგი“, - განაცხადა სააკაშვილმა და საზოგადოებას მასობრივი დაუმორჩილებლობისკენ მოუწოდა. „ხვალინდელი დღიდან, მიუხედავად იმისა, რა შედეგები დადგება და იმედია, შედეგი იქნება, ჩვენ გადავდივართ მასობრივ დაუმორჩილებლობაზე. მე მოვუწოდებ საქართველოს პოლიციას, ჯარს, გაემიჯნოს კრიმინალურ მაფიოზურ ბანდას. მოგიწოდებთ თქვენ, აიღოთ საქართველოს გადარჩენა საკუთარ ხელში. ჩვენ ყველანი უნდა ვიყოთ ხელჩაკიდებული და ვიფიქროთ იმაზე, რომ უახლოეს დღეებში საქართველოს ბედი წყდება“, - განაცხადა სააკაშვილმა. სააკაშვილის ამ მოწოდებას ვაშაძის შტაბში მაინცდამაინც დიდი მოწონებით არ შეხვედრილან არც თავად „ნაციონალი“ ლიდერების დიდი უმეტესობა და გაკეთდა განცხადებები, რომ ყველაფერს გადაწყვეტს გაერთიანებული ოპოზიცია ერთობლივად, კონსენსუსის საფუძველზე.

„გაერთიანებულ ოპოზიციას ჰყავს თავისი საბჭო, საბჭო დაჯდება და მიიღებს გადაწყვეტილებას ამასთან დაკავშირებით. მე მეტი კომენტარი არ შემიძლია გავაკეთო, ახლა ჩვენ გადართულები ვართ იმაზე, რომ თითოეული ოქმი მოვიტანოთ ჩვენს შტაბში, დავიცვათ თითოეული ხმა, დავითვალოთ თავიდან ბოლომდე შედეგები და შესაბამის სამოქმედო გეგმას აუცილებლად გაცნობებთ“, - განაცხადა გიორგი ვაშაძემ. „რესპუბლიკელების“ ერთ-ერთმა ლიდერმა დავით ბერძენიშვილმა კი განაცხადა, რომ „რევოლუცია იწვევს ზიზღს და ეს თავად გრიგოლ ვაშაძის სიტყვებია„. ბევრისთვის გადამწყვეტი სწორედ ვაშაძის პოზიცია იყო, რომელიც ფილარმონიაში შეხვედრისას გაირკვა.

ოპოზიციური ძალების გაერთიანება „ძალა ერთობაშია„ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას ითხოვს. ამის შესახებ პრეზიდენტობის კანდიდატმა გრიგოლ ვაშაძემ ფილარმონიაში განაცხადა, სადაც არჩევნების მეორე დღეს მხარდამჭერებს შეხვდა.

როგორც ვაშაძემ თქვა, „ქართულ ოცნებას„ აღარ აქვს მორალური და პოლიტიკური საფუძველი, რომ პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობა ჰქონდეს.

„საქართველოში მთლიანად შეიცვალა პოლიტიკური გარემო. 800 000 ხმაზე მეტი ავიღეთ. პოლიტიკური გარემო ისეა შეცვლილი, რომ ქურდულ ოცნებას არავითარი მორალური და პოლიტიკური საფუძველი აღარ ჰქონდა და მითუმეტეს, დღეს აღარ აქვს იმისთვის, რომ პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობა ჰქონდეს. ზუსტად ამიტომ, გაერთიანებული ოპოზიცია მოვითხოვთ ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს. მოვითხოვთ, რომ ეს არჩევნები ჩატარდეს პროპორციული ან პროპორციულ-რეგიონული პრინციპით. მოვითხოვთ, რომ საარჩევნო კომისიები დაკომპლექტდეს არასამთავრობო ორგანიზაციების და საზღვარგარეთელი ექსპერტების მიერ. მოვითხოვთ, რომ ქურდული ოცნების მიერ გაგონებული იქნეს ხალხის ხმა„, -განაცხადა გრიგოლ ვაშაძემ.

„საქართველო ფეხზე დადგება და ეტყვის უარს ივანიშვილს“ - მიხეილ სააკაშვილმა ფილარმონიაში შეკრებილ მხარდამჭერებს სკაიპით მოუწოდა და მის გამოსვლას შეკრებილი ადამიანების ოვაციებიც მოჰყვა - „მიშა, ჩამოდი“. მაშინ, როდესაც „ოცნება“ სალომე ზურაბიშვილის გაპრეზიდენტებას ზეიმობს და ათონელის რეზიდენციას სასწრაფო წესით არემონტებს, „ნაციონალური მოძრაობა“ აქციებისთვის ემზადება. ვინ დაუჭერს მხარს „ნაცმოძრაობას“ აქციებსა და ვადამდელი არჩევნების მოთხოვნაში, ჯერ ბოლომდე გარკვეული არ არის. გაერთიანებული ოპოზიციის ის ნაწილი, ვინც გრიგოლ ვაშაძეს პირველ ტურშიც ედგა გვერდით, ამჯერადაც ვაშაძისა და „ნაცმოძრაობის“ გვერდითაა, თუმცა, მეორე ტურის წინ გაერთიანებულ ოპოზიციას შეუერთდნენ „ევროპული საქართველო“ და „რესპუბლიკელები„. ეს ორი პარტია კარგა ხანს ჭოჭმანობდა და ხმამაღლა არ აცხადებდა, ემხრობოდა თუ არა ქუჩის აქციებს.

„ევროპული საქართველო“ 2 დეკემბრის აქციაში მონაწილეობას არ მიიღებს-ამის შესახებ პარტიის თავმჯდომარემ განაცხადა. მისი აზრით, ქვეყანაში პოლიტიკური ბრძოლის მთავარი გზა გადის პოლიტიკურ რეფორმებზე და არა საპროტესტო აქციებზე. „შექმნილ ვითარებაში სრულიად გასაგები და ლეგიტიმურია თითოეული იმ ადამიანის წუხილი, ვისაც მიაჩნია, რომ არჩევნები გაყალბდა და ამის გაპროტესტება უნდა მოხდეს კანონიერი საპროტესტო საშუალებებით. ჩვენ გვესმის თითოეული ასეთი ადამიანის წუხილი. მაგრამ „ევროპულ საქართველოს“ მიაჩნია და მიაჩნია, რომ ქვეყანაში პოლიტიკური ბრძოლის მთავარი გზა გადის პოლიტიკურ რეფორმებზე და არა საპროტესტო აქციებზე. შესაბამისად, პოლიტსაბჭომ მიღო გადაწყვეტილება, რომ კონკრეტულად კვირას დაგეგმილ აქციასთან დაკავშირებით ჩვენ ვართ სრულად სოლიდარული თითოეული მოქალაქის და ადამიანის, რომელიც იქ მიდის საკუთარი პროტესტის გამოსახატად და უსამართლობის გასაპროტესტებლად, მაგრამ როგორც პარტია, ორგანიზაციულად ჩვენ ამ აქციის ორგანიზებაში მონაწილეობას არ მივიღებთ“, -განაცხადა დავით ბაქრაძემ.

ვაშაძემ მხარდამჭერებს აცნობა, რომ გაერთიანებული ოპოზიცია 28 ნოემბრის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებს არ ცნობს და შესაბამისად, სალომე ზურაბიშვილს პრეზიდენტად არ აღიარებს. გარდა ამისა, გაერთიანებულმა ოპოზიციამ 2 დეკემბერს, რუსთაველის გამზირზე მშვიდობიანი საპროტესტო აქცია დააანონსა. როგორც ვაშაძემ თქვა, ეს არის ერთ-ერთი გზა, რომ ხელისუფლებამ საზოგადოების ხმა გაიგოს.

ხელისუფლებას კი უკვე ესმის ოპოზიციის ხმაც და მათი განზრახვის არსიც. ამიტომ, აქციებსა და გამოხატვის თავისუფლების მშვიდობიან ფორმაზე არანაირი გართულება არ აქვს, მაგრამ ამავე დროს საკუთარი მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვის ვალდებულებაზე ამახვილებს ყურადღებას.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის, მამუკა ბახტაძის შეფასებით, საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის დროს გარკვეულ ექსცესებს და პროვოკაციებს შედეგზე გავლენა არ მოუხდენია, რასაც მისი თქმით, „ადასტურებს ადგილობრივი, თუ საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიების ერთმნიშვნელოვნად პოზიტიური დასკვნები და, როგორც არ უნდა ეცადონ ოპონენტები, ამ სურათს ვერავინ შეცვლის.„ მამუკა ბახტაძის შეფასებითვე, საერთო ჯამში, საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდა კონკურენტულ, თავისუფალ გარემოში, რაც ქართული დემოკრატიის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გამარჯვებაა.

„მინდა სრული პასუხისმგებლობით განვაცხადო, რომ ამ გამარჯვებას და ქართველი ხალხის არჩევანს ჩრდილს ვერავინ მიაყენებს. არჩევნების შედეგების ეჭვქვეშ დაყენების ყველა მცდელობა განწირულია მარცხისთვის„ - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა. მისივე თქმით, ყველას აქვს გამოხატვის თავისუფლება, რომელიც კონსტიტუციით და კანონითაა დაცული, მაგრამ თუ ვინმე შეეცდება დესტაბილიზაციის მოწყობას, პასუხი კანონის ძალით გაეცემა. მამუკა ბახტაძის განცხადებით, არჩევნებში მონაწილეობა მიიღო დაახლოებით ორმა მილიონმა ამომრჩეველმა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ საქართველოს ჰყავს მაღალი პასუხისმგებლობის საზოგადოება და ხალხის არჩევანს ყველამ პატივი უნდა სცეს. „ჩვენ არ დავუშვებთ, რომ უპასუხისმგებლო ლიდერების გამო საფრთხე დაემუქროს მათ, ჩვენ არ დავუშვებთ რევოლუციურ და რევანშისტულ სცენარებს და არეულობის და დისონანსის შემოტანის მცდელობებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. სახელმწიფო დაიცავს თითოეული მოქალაქის უსაფრთხოებას და დაიცავს მშვიდობიანი პროტესტის უფლებას„ - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა ბახტაძემ. მან აღნიშნა, რომ არჩევნები დასრულდა და ქვეყანა უნდა დაუბრუნდეს ჩვეულებრივ რიტმს, გასაკეთებელია ბევრი საქმე და დასაძლევია ბევრი გამოწვევა.

საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების მეორე ტური, რომლის შედეგადაც მოქალაქეებმა 6 წლის ვადით ქვეყნის რიგით მეხუთე პრეზიდენტი აირჩიეს, 28 ნოემბერს ჩატარდა. ცენტრალური საარჩევნო კომისიის წინასწარი მონაცემებით, რომელიც ყველა უბნის შედეგებს ეყრდნობა, „ქართული ოცნების„ მიერ მხარდაჭერილმა კანდიდატმა სალომე ზურაბიშვილმა ამომრჩეველთა ხმების 59.52 % (1 147 627 ხმა) მიიღო, ხოლო „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატმა გრიგოლ ვაშაძემ 40.48 % (780 633 ხმა).

ამომრჩეველთა აქტივობამ შეადგინა 56,2%, რაც რაოდენობრივად 1 975 845 ადამიანია. პირველ ტურში ამომრჩეველთა აქტივობა იყო 46,7%, 1 637 956 ამომრჩეველი და მეორე ტურში 17%-ით მეტმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა.

მასალა მოამზადა
ინგა შიოლაშვილმა

„ბუნებრივი ანტიბიოტიკი“– ჰაერი, რომელიც გვჭირდება

როდესაც მე-20 საუკუნის შუა პერიოდში მეცნიერებმა პირველად აღმოაჩინეს ანტიბიოტიკი, ექიმები იმედოვნებდნენ, რომ ამ ახალი მედიკამენტების წყალობით ბევრ დაავადებას დაამარცხებდნენ. თავიდან ეს პრეპარატები ამართლებდა მათ მოლოდინს, მაგრამ მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ რაც უფრო ფართოდ იყენებდნენ მედიცინაში ანტიბიოტიკებს, მით უფრო მრავლდებოდა და ვრცელდებოდა ანტიბიოტიკებისადმი რეზისტენტული ახალ-ახალი ბაქტერიები. ინფექციებთან ბრძოლის ახალი საშუალებების ძიებაში ზოგმა მეცნიერმა კიდევ ერთხელ გადახედა დაავადებებთან ბრძოლის ძველ მეთოდებს. ერთ-ერთი ასეთი მეთოდი მზე და სუფთა ჰაერია. მზე იქეთ იყოს, და აი, ჰაერზე...ჰაერზე ბევრი რამის თქმა შეიძლება.

ჰაერის დაბინძურება გლობალური დაბინძურების ყველაზე საშიში ფორმაა. მისი მიკროსკოპული ნაწილაკები ღრმად ვრცელდებიან ფილტვებში, თანაც სხეულის ბუნებრივი დაცვის გვერდის ავლით. დაბინძურებული მიკროსკოპული ნაწილაკები შეიძლება მოხვდეს სისხლძარღვებში, რაც ფილტვის დაავადებას, კიბოს, პარალიზის და გულის შეტევებს იწვევს.

მიუხედავად ამ რისკებისა, ჰაერის დაბინძურების დონე და ადამიანის ჯანმრთელობა, საზოგადოების მიერ არაა ფართოდ გააზრებული . მუშავდება ძველი მონაცემები, იქმნება ახალი კვლევები, შედეგი კი არ იცვლება - ჰაერით გამოწვეული დაავადებები მაინც უპირველეს გადასაჭრელ ამოცანად რჩება.

სულ ახლახანს, მეცნიერებმა ჰაერის ხარისხისა და სიცოცხლის ინდექსი (AQLI - The Air Quality Life Index) შექმნეს, რომელიც მთლიანად ახალ მიღწევას წარმოადგენს გაზომვისა და ჯანმრთელობის რისკებთან კომუნიკაციის სფეროში. ჰაერის ხარისხისა და სიცოცხლის ინდექსით ადამიანებს შეუძლიათ დაადგინონ, თუ რამდენი წლით უფრო მეტ ხანს იცოცხლებდნენ ისინი, ჰაერი რომ დაბინძურებული არ იყოს. ჰაერის ხარისხისა და სიცოცხლის ინდექსი ცხადჰყოფს, რომ ნალექების დაბინძურების შედეგად გლობალური სიცოცხლის ხანგრძლივობა განიცდის ცვლილებებს და იწვევს მისი 2 წლით შემცირებას. მსგავსი ტიპის დაბინძურება გაცილებით უფრო დამანგრეველ შედეგს იძლევა, ვიდრე გადამდები დაავადებები, როგორიცაა ტუბერკულოზი, აივ/შიდსი, სიგარეტის მოწევა და ომიც კი.

AQLI კვლევებით პირველად განისაზღვრა მიზეზობრივი ურთიერთობა ჰაერის დაბინძურებისა და სიცოცხლის ხანგრძლივობის გრძელვადიან პერსპექტივას შორის. ინდექსის შემდეგ ეს კვლევა აერთიანებს ჰიპერ-ლოკალიზებულ, გლობალურ PM- ს გაზომვებს, რომელმაც საშუალება მისცა მკვლევრებს, ნავთობზე დაფუძნებული საწვავის გამოყენებისგან გამოწვეული დაბინძურებისა და ამჟამად არსებული ყველაზე ზუსტი რუკების შესწავლით დაედგინათ, რომ, მაგალითად, ისეთი ქვეყნები, სადაც დაბინძურების მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია (ჩინეთი და ინდოეთი), სიცოცხლის ხანგრძლივობა დაახლოებით 6 წლით არის შემცირებული.

კვლევაში, რომელიც ძალიან ბევრ ასპექტს მოიცავს და საკმაოდ დეტალურად მიმოიხილავს მისი წარმართვის პროცესს, საქართველოსაც აღმოაჩენთ. საქართველოში, კერძოდ თბილისში, თუ ჰაერი მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის სტანდარტებს დააკმაყოფილებდა, ადამიანები 0,7 წლით უფრო მეტ ხანს იცოცხლებდნენ. შედარებით დაბალი მაჩვენებლები და უკეთესი მდგომარეობაა რეგიონებში. კახეთსა და მცხეთა-მთიანეთში აღნიშნული რიცხვი 0,4-ია, ქვემო ქართლში კი 0,5. საქართველოში ჰაერის დაბინძურების შედეგად სიცოცხლის ხანგრძლივობა 0,3 წლითაა შემცირებული.

“ადამიანებს შეუძლიათ, რომ მოწევა შეწყვიტონ და საკუთარი ორგანიზმი დაიცვან, თუმცა, როდესაც საქმე ჰაერის დაბინძურებას ეხება, ადამიანების უმეტესობა უძლურია”, - აცხადებს ჩიკაგოს უნივერსიტეტის წარმომადგენელი და კვლევის ავტორი მაიკლ გრინსტოუნი. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიხედვით, მსოფლიო მოსახლეობის 90 პროცენტი ჯანმრთელობისთვის საშიშ ჰაერს სუნთქავს, რაც ყოველწლიურად 7 მილიონ ადამიანს კლავს. იმის გათვალისწინებით, რომ მოცემული კვლევა მხოლოდ ჰაერის დაბინძურების ერთ ასპექტზე - ჰაერში არსებულ ნაწილაკების შესწავლაზეა დაფუძნებული, სავარაუდოა, რომ არსებული რეალობა გაცილებით უფრო მძიმე იყოს. კომპლექსურ მოდელებზე დაყრდნობით, ჰაერის დაბინძურება ყოველწლიურად ცხრა მილიონი ადამიანის დაღუპვის მიზეზი ხდება. არსებული კვლევის მიხედვით, ჰაერის დაბინძურება სიცოცხლის ხანგრძლივობას 1,8 წლით ამცირებს. საგულისხმოა, რომ თამბაქოს გავლენის კვლევის შედეგად ეს რიცხვი 1,6 -ია.

ამ კვლევას წინ უძღვოდა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის 2017 წლის ანგარიში, სადაც საქართველო ევროპაში მესამე ადგილზეა „შენობაში და შენობის გარეთ არსებული დაბინძურებული ჰაერით გამოწვეული სიკვდილიანობით“ (ყოველ 100,000 ადამიანზე). სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2018 წლის ანგარიშში კი ვკითხულობთ, რომ ჰაერის დაბინძურების შედეგად გამოწვეული დაავადებების მკურნალობაზე მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტიდან 2016 წელს დახარჯულია 120,050,566 ლარი. ანგარიშში ასევე ვკითხულობთ, რომ საქართველოში მოქმედი ნორმები არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტით დადგენილ ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს. აუდიტის კვლევის მიხედვით, ძირითადი ურბანული დამაბინძურებელია ავტოტრანსპორტი, რომელიც ატმოსფერული ჰაერის ხარისხის ფორმირებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს. საქართველოში რეგისტრირებული ავტომობილების 37% თავმოყრილია თბილისში.



ჰაერის დაბინძურების ძირითადი წყაროებია:

ავტოტრანსპორტი

მრეწველობა (მეტალურგიული კომბინატები, ქიმიური მრეწველობის ობიექტები, ცემენტის ქარხნები, ფეროშენადნობი ქარხანა და სხვ.)

მშენებლობა (ძველი შენობების დემონტაჟი, მშენებლობების ნორმების დაუცველობა, ბადეების გამოყენების უგულებელყოფა)

ენერგეტიკული სექტორი (თბოსადგურების მოხმარებისთვის გამოყენებული მყარი და თხევადი საწვავი, ნავთობისა და გაზის მოპოვება და სხვ.)

სოფლის მეურნეობა (შხამ-ქიმიკატების მოხმარება).

გადამამუშავებელი მრეწველობა (მყარი ნარჩენების გადამუშავება)

ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“ ეგიდით, ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების შესრულების მონიტორინგის პროცესში, „მწვანე ალტერნატივაც“ ჩაერთო. „მწვანე ალტერნატივის“ მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგების თანახმად, საქართველოს ამ დრომდე შესასრულებელი აქვს 2014-2016 წლების დღის წესრიგში ასახული მოთხოვნები, რაც საწვავის ხარისხის გაუმჯობესებასა და საჯარო ტრანსპორტის სექტორის განვითარებას ისახავს მიზნად. „ფაქტია, რომ ავტოტრანსპორტის სავალდებულო პერიოდული ტექნიკური ინსპექტირება არაეფექტიანია აღსრულების თვალსაზრისით. ვხედავთ, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტი კვლავაც საშინლად აბინძურებს გარემოს. ხოლო მსუბუქი ავტომობილები, რომელთა შემოწმების პროცესი 2019 წლის 1 იანვრიდან უნდა დაიწყოს, 2020 წლის 1 იანვრამდე გათავისუფლებული არიან გარემოზე მავნე ზემოქმედების ნაწილში” - აღნიშნავს რადიო თავისუფლებასთან „მწვანე ალტერნატივის“ ხელმძღვანელი, მონიტორინგის ანგარიშის ავტორი მანანა ქოჩლაძე. ასევე რადიო თავისუფლებასთან საუბარში, ორგანიზაცია რეკომენდაციას აძლევს საქართველოს მთავრობას, რომ აუცილებლად და დროულად იქნეს უზრუნველყოფილი ავტოსატრანსპორტო საშუალებების სავალდებულო ტექნიკური ინსპექტირება გარემოზე ზემოქმედების ფაქტორის გათვალისწინებით. აუდიტის ანგარიშში ვკითხულობთ, რომ საქართველო-ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შეთანხმებით და მთავრობის განკარგულებით მოთხოვნილია: ჰაერის ხარისხის მონიტორინგის გაუმჯობესება, მოდელირების სისტემის შექმნა და დანერგვა; ასევე ჰაერში მავნე ნივთიერებების ემისიათა ინვენტარიზაცია, ხარისხის შეფასებისა და პროგნოზირების სისტემების შექმნა. ეს მოთხოვნები უფრო მყარ საფუძველს უქმნის არასამთავრობო ორგანიზაციებს ზემოთ აღნიშნული რეკომენდაციების გაცემის პროცესში.

ისევ და ისევ მუშავდება ძველი მონაცემები, იქმნება ახალი კვლევები, შედეგი კი არ იცვლება - გვრჩება მხოლოდ ჰაერი, რომელიც ასე გვჭირდება და თან გვეშინია მისი.

ჟუჟუნა ყანჩაშვილი

აივ/შიდსი დაავადებაა და არა განაჩენი!

„იცოდე შენი აივ-სტატუსი“, - ამ სლოგანით აღინიშნება წელს შიდსის მსოფლიო დღე. საქართველოში აივ-ით ინფიცირების გამოვლენილი შემთხვევების რაოდენობა, წლებია, სტაბილურად იზრდება. 2018 წლის 11 თვეში საქართველოში გამოვლენილია 618 ახალი შემთხვევა.

1 დეკემბერი აივ/შიდსთან ბძოლის საერთაშორისო დღეა, რომელიც 1988 წლის შემდეგ აღინიშნება. მისი მიზანია ვირუსის შესახებ ცნობიერების ამაღლება. 1 დეკემბერის აღნიშვნაში თითქმის მთელი მსოფლიოა ჩართული. მთავრობები, არასამთავრობო ორგანიზაციები, აქტივისტები და მედია ამ დღეს სხვადასხვა აქციისა და ღონისძიების ჩასატარებლად იყენებს.

რა არის აივ?

ეს არის ვირუსი, რომელიც გასული საუკუნის მეორე ნახევარში აღმოაჩინეს. ეპიდემია ამერიკის შეერთებულ შტატებში 1980-იან წლებში დაიწყო, შემდეგ კი დანარჩენ მსოფლიოში გავრცელდა. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ვირუსმა შტატებში აფრიკიდან შეაღწია, როდესაც სამედიცინო მიზნებისთვის, აშშ-სა და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში აქტიურად ხდებოდა სისხლის იმპორტი და შესაძლოა, მათი ნაწილი სწორედ აივ-ის მატარებელი იყო.

აივ ინფექცია იწვევს ორგანიზმში ე.წ. იმუნიტეტის უჯრედების კვდომას. პროცესი რამდენიმე წელი შეუმჩნევლად მიმდინარეობს. ინფიცირებიდან დაახლოებით 5-7 წლის შემდეგ (ეს პერიოდი დამოკიდებულია ორგანიზმის ინდივიდუალურობაზე), CD4+ უჯრედების რაოდენობა მმ3 სისხლში ჩამოდის 200-ზე დაბლა, ეს ნიშნავს, რომ ორგანიზმის იმუნური სისტემა დასუსტებულია და შესაძლოა, ნებისმიერი დაავადება მარტივად განვითარდეს, მათ შორის სიმსივნეც.



აივ-ით დაინფიცირების საშიშროება ყველა ადამიანს აქვს, მაგრამ გადადების რისკი იზრდება გარკვეული ქცევების არსებობის შემთხვევაში. ამიტომ შეამოწმეთ თქვენი აივ სტატუსი, თუ:

- ერთხელ მაინც გაგიკეთებიათ ნარკოტიკი.
- თქვენი მეუღლე/სქესობრივი პარტნიორი არის ან იყო ნარკოტიკის მომხმარებელი.
- გქონიათ შემთხვევითი დაუცველი სქესობრივი კონტაქტები.
- გაქვთ ან გქონდათ რომელიმე სქესობრივი გზით გადამდები ინფექცია.
- გადატანილი გაქვთ ან ამჟამად ავად ხართ B ან C ან D ჰეპატიტის ვირუსით.
- დაგიდგინდათ ტუბერკულოზი.
- ხშირად იტარებთ სამედიცინო მანიპულაციებს.
- გაგიკეთებიათ ტატუირება ან პირსინგი.
- ხართ სისხლის რეციპიენტი.

თუ ექიმს დროზე მივმართავთ და მკურნალობას დავიწყებთ, ინფექციის გავრცელება შესამჩნევად შენელდება. ანუ, შესაძლებელია ვირუსის გავრცელების მედიკამენტებით შეჩერება და იმის მიღწევა, რომ ვირუსმა ვეღარ დააზიანოს იმუნური სისტემა.

რა არის შიდსი?

შიდსი არის შეძენილი იმუნო დეფიციტის სინდრომი. აივ ვირუსით დაინფიცირება იმთავითვე არ ნიშნავს, რომ ადამიანს აქვს შიდსი. შიდსი აღნიშნავს აივ-ით დაინფიცირების შედეგად გამოწვეულ მდგომარეობას, ანუ, აივ ინფექციით გამოწვეული დაავადების ბოლოს სტადიას.

რისკ ფაქტორები და ჯგუფები:

შიდსმა თავიდან ჰომოსექსუალ მამაკაცების ჯგუფში დაიწყო გამოვლენა, ამის გამო მას გეი ასოცირებული იმუნო დეფიციტიც კი უწოდეს, თუმცა შემდეგ აღმოჩნდა, რომ ეს დაავადება იმ ჯგუფებშიც გავრცელდა, სადაც ამ დაავადებით ინფიცირების არანაირი რისკი არ არსებობდა. დაავადდნენ ქალები, რომელთა მეუღლეები ნარკოტიკებს მოიხმარდნენ, დაინფიცირდნენ ბავშვები, რომლებმაც დედისგან მიიღეს ეს ვირუსი. ასე რომ რისკჯგუფებად დაყოფის სტერეოტიპი დაიმსხვრა. დღეს შეიძლება ყველანი გავხდეთ ამ ვირუსის მატარებლები.

მსოფლიოში ვირუსის გადაცემის 3 გზაა დადასტურებული: სისხლისმიერი, სქესობრივი კონტაქტი და ვერტიკალური, ანუ დედიდან შვილზე გადაცემა. ვირუსი ყველაზე მაღალი კონცენტრაციით შეიმჩნევა სისხლში, შემდეგ სასქესო სეკრეტებში და შემდეგ მოდის თავზურგტვინის სითხესა და დედის რძეში. სწორედ ამ ბიოლოგიურ სითხეებთან კონტაქტი არის რისკის შემცველი.

ვირუსი შეიძლება აღმოჩნდეს ცრემლში, ოფლში, შარდში, სანაყოფე სითხეში, მაგრამ იმდენად მცირეა კონცენტრაცია, რომ საშიში აღარ არის. ზოგადად, შიდსი ჰაერწვეთოვანი გზით არ გადადის, ხელის ჩამორთმევა, დაცემინება, დახველება, ჩახუტება საშიში არაა. ასევე არ გადადის

(გაგრძელება გვ.6)

„მხოლოდ ენა, სარწმუნოება და ტრადიციები შემოგვრჩა და ამას ვერავინ წაგვართმევს...“

ისტორიულ ჰერეთში გიორგობას განსაკუთრებით აღნიშნავენ. ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქიამ ერთი საუკუნის შემდეგ წელს პირველად შეძლო ქურმუხის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში სრულყოფილი წირვა აღევლინა. მნიშვნელოვან მოვლენას გაზეთი „შირაქი“, აზერბაიჯანული მხარის წინააღმდეგობის მიუხედავად, ექსკლუზიურად დაესწრო. ჰერეთისკენ გეზი დილის 5 საათზე ავიღეთ, საათნახევარში საზღვარიც გადავკვეთეთ. ქართული გამშვები პუნქტი 2 წუთში, უპრობლემოდ გვატარებს, ასევეა ბელაქანის გამშვებ პუნქტშიც, ოღონდ, ვიდრე ჩანთას გახსნიან და ჩამწერ აპარატურას აღმოაჩენენ. დეტექტორში გატარებისას საეჭვო არაფერი ჩანდა, თუმცა, ჩანთა მაინც გახსნეს.





ქურმუხის ტაძარი

თავიდანვე ვარჩიე, არაოფიციალური, სამოყვარულო ვიზიტით გადავსულიყავი და ჩემი ჟურნალისტური სტატუსით არ მესარგებლა. ვფიქრობდი, ასე იოლად გამიშვებდნენ, ვიდრე როგორც ჰერეთის პრობლემებით დაინტერესებულ ჟურნალისტს, რომელსაც არცთუ დემოკრატიული ქვეყნიდან მასალის წამოღება სურდა. ამიტომაც დაიწყო გაუთავებელი შეკითხვები: „რა უნდა გადავიღო“, „რა მაინტერესებს“, „ოფიციალური ვიზიტია, თუ პირადი“, „რომელ არხზე ვმუშაობ“, „სად გავა გადაღებული მასალა“, „რომელიმე ტელევიზია აჩვენებს, თუ მხოლოდ ინტერნეტში განთავსდება“... ვირწმუნებოდი, რომ არ ვარ თბილისიდან, აქვე გვერდით რაიონში ვცხოვრობ. არცერთ მედიას არ გავუგზავნივარ, კერძო ვიზიტით მივდივარ, არც მასალის გაშვებას ვაპირებ ტელევიზიით. რამდენჯერმე გადარეკეს ხელმძღვანელებთან, დაახლოებით ნახევარ საათში, ზემოდან მიღებული ნებართვის შე-

სოფ. ალათემურის სკოლა

მდეგ გაგვიშვეს და განგვიმარტეს: „გვესმის, რომ ტერორისტები არ ხართ, ჩვენი ქვეყნის სტუმრები ხართ, მაგრამ ეს აუცილებელი პროცედურებია“. ისინი, ძირითადად, საკუთარ ენაზე გვესაუბრებოდნენ, ამაზე პროტესტის გამოხატვის შემდეგ, შიგადაშიგ, ინგლისურად ცდილობდნენ ახსნას.

ყოველთვის მესმოდა, საინგილოში ისევ ქართული ბუნებაა, როგორც გასცდები, სულ სხვა ლანდშაფტიაო. საზღვრის კვეთისთანავე პირველივე შთაბეჭდილება სწორედ ასეთი იყო და, ნისლის მიუხედავად, მაინც თვალშისაცემი... ჩემთვის სასიამოვნო მოულოდნელობა იყო ზედმეტად მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა და საოცარი სისუფთავე, არა მხოლოდ რაიონულ ცენტრსა და სოფლებში, არამედ დაუსახლებელ ადგილებსა და მაგისტრალზეც. ასე გამართულ ინფრასტრუქტურას არ ველოდი. ამას ისიც აგვირგვინებს, რომ მოძრაობას ყველგან შუქნიშნები არეგულირებს.

კახის ცენტრში მანქანას ვაჩერებთ, ტაძრამდე მისასვლელ გზას რუსულად ვკითხულობთ, თუმცა 60-ს გადაცილებული მამაკაცი ქართულად გვპასუხობს და გვიხარია. კახის რაიონის სოფელ კახინგილოში ქრისტიანული ეკლესია ცენტრალურ გზაზე, დასახლებაში მდებარეობს. იქვე ცხოვრობს მისი წინამძღოლი მამა პეტრე ხუმარაშვილიც. ამ ქუჩას ჰეიდარ ალიევის სახელი ჰქვია. როგორც გავარკვიეთ, ზემოთ საპრეზიდენტო რეზიდენციაა, რის გამოც ეს გამზირი კეთილმოწყობილია და დიდი ყურადღება ექცევა. პირველი, რასაც ვაკვირდები, ქართველებით დასახლებულ ამ რაიონებში შევნიშნავ თუ არა აბრებს ქართულ ენაზე. ეკლესიასთან ახლოს დიდი ასოებით ნაბეჭდ აზერბაიჯანულ აბრაზე მცირე შრიფტით დატანილი ორი ქართული წარწერაც შევნიშნე. **„ქართული პური და ხაჭაპური“, „ხორცი“.** არ ველოდი, რადგან ვიცოდი, ყოველგვარ ქართულს კრძალავენ. ამაზე მოწმობს შრიფტის მცირე ზომაც.

ქურმუხის ტაძრისგან განსხვავებით, მერვე საუკუნის კახის ეკლესია მოქმედია და ადგილობრივ მრევლს ყოველ შაბათ-კვირას ემსახურება. 23 ნოემბერს ქურმუხის და ასევე კახის წმინდა გორგის სახელობის ეკლესიებში ღვთისმსახურება ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსმა მეუფე დიმიტრი კაპანაძემ და ტაძრის წინამძღვარმა დეკანოზმა პეტრე ხუმარაშვილმა ეპარქიის მღვდელმსახურებთან ერთად აღავლინეს.

ეკლესიასთან მისულებს ერთ-ერთი ადგილობრივი ქალბატონი შეგვხვდა. ჩვენს დანახვაზე ღიმილით გვიხსნის, რომ ტაძარი ცარიელია, მეუფე და სხვა სასულიერო პირები ქურმუხში ავიდნენო. წინა წლებში პირიქით იყო, წირვა ჯერ აქ ტარდებოდა, შემდეგ ქურმუხის ეკლესიაში ადიოდნენ, მეუფის გადაწყვეტილებით, წელს ეს ტრადიცია შეიცვალა. ჩვენც ზემოთ წასვლა დავაპირეთ და ქალბატონს წაყვანა შევთავაზეთ. გაირკვა, რომ ისტორიის პედაგოგია, **ლოლია ჯანაშვილი.** ვუხსნით, რომ ჯანაშვილები დედოფლისწყაროშიც მრავლად ცხოვრობენ, განსაკუთრებით ზემო მაჩხანში. უკვირს... „შირაქის“ კითხვაზე, რამდენად სწორად ასწავლიან სკოლებში ისტორიას, გვპასუხობს, რომ აზერბაიჯანის ისტორიას ასწავლის და აღარ კონკრეტდება, ჰერეთთან დაკავშირებულ მოვლენებს როგორ აწვდიან მოზარდებს. გზად გვიყვება, როგორ ცხოვრობენ და ჩვენი ამბებითაც ინტერესდება. ჰგონია, რომ საქართველოში ძალიან ჭირს. ამბობს, რომ საკლასო ჟურნალებს მანამდე ქართულ ენაზე წერდნენ, ბოლოს კი აიძულეს აზერბაიჯანულ ენაზე შეევსოთ. ეს მტკივნეული დეტალი სხვა სკოლის პედაგოგებთანაც გადავამოწმე, დადასტურდა, რომ 3 წელია, ასეა.

„აქაური მუსლიმები ხშირად გვეუბნებიან, რომ ჩვენი რელიგია ყველაზე სწორი გზაა... ადრე ქართულ ტელევიზიებს ვერ ვუყურებდით და ჭირდა ქართულად საუბარი, ბავშვებსაც უჭირდათ. აქ თავისუფლება არ არის და გადაცემები იზღუდება. ახლა სულ ქართულ ტელეგადაცემებს ვუყურებთ და ვიცით, საქართველოში რა ხდება. ბავშვებსაც უადვილდებათ ენის შენარჩუნება. აქამდე გამორჩეული კუთხური აქცენტი გვქონდა,“ – ამბობს ლოლია.

სოციალური ფონით ვინტერესდები და ვკითხულობ, რა ტარიფებია კომუნალურ გადასახადებზე.

ბუნებრივი აირი კუბზე 0,20-0,30 თეთრამდე ღირს, გამოდის რომ ჩვენთან შედარებით იქ ნახევარი ფასია. თუმცა, ვინც ბევრს მოიხმარს, 0,40 თეთრს იხდის. ელექტროენერგია საშუალოდ 0,06 თეთრია. ადგილობრივების თქმით, სასურსათო მაღაზიებში პროდუქტები გაცილებით ძვირია, ვიდრე საქართველოში. პენსიონერების ნაწილი 250 მანათს იღებს, ზოგიერთი 300-ს. დღევანდელი კურსით 250 მანათი პენსია თითქმის 400 ლარია, ანუ აზერბაიჯანი ორჯერ მეტს იხდის.

„მთლიანად ჰერეთში 14 სკოლაა. კახის რაიონში 7 ქართული სკოლა, მხოლოდ ქართველი 500-მდე მოსწავლე იძნება. ბევრი ოჯახი საქართველოშია. ჩვენს სოფელში, კახინგილოში სამი ქართული სკოლა მოქმედებს, 2 ალიაგადშია, თითო კი-ითითალასა და მოსულში. ჩემი ავტორობით ახლა გამოიცემა წიგნი „განათლება კახის ქართულ სკოლებში“. სკოლის დაარსების 150 წლისთავს მივუძღვენი და კონკრეტული ცნობები გავაერთიანე 1868 წლიდან დღემდე. საინტერესო მასალაა. ისევ თბილისის გამომცემლობაშია და რამდენიმე თვეში დაიბეჭდება. მხოლოდ ენა, სარწმუნოება და ტრადიციები შემოგვრჩა და ამას ვერავინ წაგვართმევს. ტრადიციებს მედგრად ვიცავთ, ესენიც პატივს სცემენ ჩვენს ტრადიციებს. კედლებზე ქართული წარწერები ან დროშა არ შეგხვდებათ. ქართველებს ამის სურვილი აქვთ, მაგრამ სხვა სახელმწიფოა. ბოლო ხანს საქართველოს განათლების სამინისტრო თავს აღარ იწუხებს ქართულ სკოლებში სახელმძღვანელოები გამოგზავნოს. რამდენჯერმე დაგვპირდნენ, მაგრამ ამაოდ.. მოძველებული წიგნებით უწევთ სწავლა, ზოგჯერ მშობლებს გადმოაქვთ, მაგრამ საზღვარზე აფერხებენ,“ – ამბობს პედაგოგი დარიკო ტარტარაშვილი.

რაკი ქართული დროშისა და წარწერების გამოფენას შევეხეთ, გეტყვით, რომ სკოლებშიც იგივე ხდება. მათ შორის ქართული სექტორის საკლასო ოთახებსა თუ დერეფნებში მხოლოდ აზერბაიჯანის დროშა, ციტატები და სხვადასხვა სააგიტაციო მასალა შეგხვდებათ. ქართულენოვან სკოლებში ქართული არაფერია. ხშირად მინახავს სკოლის ეზოებსა თუ დარბაზებში გამართული ქართული ღონისძიებები. ვერსად ნახავთ სცენაზე, ან სადმე კუთხეში მცირე ზომის პატარა ქართულ დროშასაც. მკვეთრად სხვა სურათია საქართველოში გამართულ ნოვრუზ ბაირამსა თუ სხვა ღონისძიებებზე. დიდი ზომის აზერბაიჯანის დროშა, საგანგებოდ დაბეჭდილი სცენაზეც ყოველთვისაა გაკრული და სხვა ადგილებშიც ფრიალებს. ხშირად მარნეულში ერთი ქართული, აქეთ-იქით კი აზერბაიჯანის დროშებია გამოფენილი. თავისივე დროშები უჭირავთ ღონისძიებებზე შეკრებილ საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელებსაც. ამას გარდა, საქართველოში ჩატარებულ აზერბაიჯანულ ღონისძიებებში მთავარი ტექსტები და მილოცვები აზერბაიჯანულად გაცილებით დიდი შრიფტით წერია, ვიდრე ქართული. მეტიც, ნოვრუზ-ბაირამის დღესასწაულის მისალოცად მარნეულში ჩასული საქართველოს პრემიერ-მინისტრი და პრეზიდენტი პატივისცემის ნიშნად მისალოც ტექსტსაც ხშირად აზერბაიჯანულ ენაზე ამბობენ.

სამწუხაროდ, მოძმე აზერბაიჯანი იგივე ნაბიჯებით არ გვპასუხობს საინგილოში მცხოვრები ქართველების მისამართით. ჰერეთში კი ქართულ ენაზე მიმართვას არათუ აზერბაიჯანის ხელისუფლება არ აკეთებს, საქართველოდან ჩასული მაღალჩინოსნებიც

„ვინ დაგვაკიდებინებს ქართულ დროშას, მაგათ ხელში ქართულ მუსიკას თუ უკრავ, უნდა გვეშინოდეს. საქართველოს მთავრობა უმცირესობებს იცავს, აზერბაიჯანელები კი ცდილობენ გამოგვყარონ, ჩვენი მიწიდან აგვასახლონ,“ – გვიხსნის ადგილობრივი ერეკლე ტარტარაშვილი. **„ვინ აძლევს უფლებას, რომ ჰერეთში ქართული დროშაც დაკიდონ? განა საქართველოა, ყველას ყველაფრის ნება რომ აქვს,“** – წუხს სვეტლანა ნადირაშვილი.

დილის 9 საათზე უკვე ქურმუხის ასასვლელთან ვართ. მანქანებს ზემოთ არ უშვებენ, ამიტომ აქ ფეხით ადიან. თვალშისაცემია პოლიციის მობილიზება. ქურმუხის ტაძარი დაკეტილია და ადგილობრივ ქრისტიანებს აქ ამოსვლის შესაძლებლობა წელიწადში ორჯერ ეძლევათ. ბევრჯერ თქმულა, რომ აზერბაიჯანული მხარე ქურმუხის ტაძრის ქართულ წარმომავლობას ოფიციალურად უარყოფს და ყველგან ცდილობს, ეს ქრისტიანული ეკლესია ალბანურ ძეგლად მოიხსენიოს. აზერბაიჯანის ხელისუფლებას მსგავსი აბრები ბევრჯერ განუთავსებია ქურმუხთანაც და სხვა ქრისტიანულ ტაძრებთანაც. მაგრამ ახლაც თვალშისაცემად დიდი, ახალი აბრაა დამზადებული, სადაც დატანილია ვრცელი მონაცემები, სავარაუდოდ გაყალბებული ცნობები, რომ ეს ტაძარი ალბანურია. სრული შინაარსის გამოტანა ვერ შევძელი, მაგრამ აბრაზე გარკვევით ჩანს, რომ სათაურში ალბანურ ძეგლადაა მოხსენიებული. ტრადიციულად მრევლის დიდი ნაწილი, სიცივის მიუხედავად, მაღალ მთაზე ფეხშიშველი ადის. ასე იქცევა ადგილობრივ აზერბაიჯანელ მუსლიმანთა ნაწილიც. ჯერ ისევ ნისლია, ამიტომ ისეთი ხალხმრავლობა არ ჩანს, როგორსაც ველოდი. კანტი-კუნტად მოდიან მომლოცველები, გამიკვირდა, მაგრამ ნელ-ნელა ნაკადმა იმატა და 12 საათისთვის პიკს მიაღწია. შემდეგ უკვე დაღამებამდე არ წყდებოდა მომლოცველთა რიგი. ჩემდა გასაოცრად, უამრავი აზერბაიჯანელი მოდიოდა ქურმუხის მოსალოცად. მოჰყავთ ცხვრები, ქათმები... სასიამოვნო სანახავია, რომ ამ ტაძრებში სანთლისა, თუ ხატების შეძენა ორივე ვალუტით შეგიძლიათ, როგორც ქართულ ლარში, ისე აზერბაიჯანული მანათით.



(გაგრძელება გვ.8)

დასაქმებულთა გენდერული თანასწორობა

დღეს, როგორც არასდროს, დღის წესრიგში აქტუალურად დგას სახელმწიფოში ქალთა მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და გენდერული ბალანსის დაცვა დასაქმების კუთხით. ეს, რა თქმა უნდა, ჯერჯერობით შეუძლებელია, მიმდინარე მონაცემების გათვალისწინებით, მაგრამ, ალბათ, დროა, ადგილიდან დაიძრას და ფართოდ დაინერგოს „გენდერული განათლება“, როგორც საგანი, საგანმანათლებლო სივრცეში, (დღეს სულ რამოდენიმე უმაღლეს სასწავლებელში ისწავლება), გატარდეს მთელი რიგი სხვა ღონისძიებები, რათა ინდექსმა, რომლის მიხედვითაც საქართველო დასაქმებულთა გენდერული თანასწორობის მიხედვით 86-ე ადგილზეა, ბევრად ქვევით დაინიოს.

თუ გადავხედავთ თუნდაც ჩვენი მუნიციპალიტეტის მაგალითზე, ქალთა ჩართულობა დასაქმების კუთხით შემდეგნაირად გამოიყურება-ზედა საფეხურებზე(ხელმძღვანელ პოზიციებზე) უფრო მამაკაცები სჭარბობენ, ქვედა რგოლებში , როგორებიცაა- საჯარო სკოლები, სკოლამდელი დაწესებულებები, სახელოვნებო სფეროები და ა.შ ძირითადად, თითქმის 90% ქალბატონები არიან. ზოგადად, ბოლო წლების განმავლობაში გენდერული უთანასწორობის საერთო სურათი ქვეყანაში ოდნავ შეცვლილია, მაგრამ არცთუ დამაიმედებლად- ქალები პარლამენტში 15%-ს, ხოლო საკრებულოში 13.4%-ს შეადგენენ. ევროპისა და ეუთოს წევრი სახელმწიფოების ეროვნულ პარლამენტებში ქალთა საშუალო რაოდენობა 27.5%-ია, ამ დროს საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებაში 9 გუბერნატორიდან არცერთი არ არის ქალი, 5 თვითმმართველი ქალაქის ყველა მერი მამაკაცია, ადგილობრივი თვითმმართველობის 59 მერს შორის მხოლოდ 1 ქალია. პოლიტიკურ პარტიათა ფინანსური სტიმულირება პარტიულ სიებში ქალების შეყვანისთვის აშკარად არაეფექტური ზომა აღმოჩნდა. ამის გათვალისწინებით, დროებითი ღონისძიების სახით, საქართველოში უნდა არსებობდეს სავალდებულო კვოტები პოლიტიკური მონაწილეობის თანასწორობის უზრუნველსაყოფად. ასევე უნდა განხორციელდეს მნიშვნელოვანი რეფორმა საარჩევნო სისტემებში პროპორციული წარმომადგენლობის კუთხით. რამდენადაც ახალი კონსტიტუციით, საქართველო პროპორციულ სისტემაზე 2024 წლიდან გადადის, უაღრესად მნიშვნელოვანია, სავალდებულო გენდერული კვოტების დაწესება, რაც მიზნად ისახავს გენდერული უთანასწორობის შემცირებას პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

საქართველოში ქალები ძალზე იშვიათად არიან ჩართულნი დიდ ბიზნესში. მაღალი თანამდებობები, როგორც წესი, მხოლოდ მამაკაცების შესაფერისად მიიჩნევა. ქალებისათვის სოციალურად უფრო მისაღები თანამდებობებია მენეჯერის თანაშემწე, გამყიდველი ან სკოლის მასწავლებელი. თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პირობებში ქალებისათვის დასაქმების თანასწორი პირობების შესაქმნელად საჭიროა არა მხოლოდ სპეციალური ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის მიღება, არამედ ეფექტური იურიდიული მექანიზმების ჩამოყალიბებაც. საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული თანასწორობის პრინციპი და ქვეყნის საერთაშორისო ვალდებულებები არ არის რეალიზებული ცხოვრებაში. საქსტატის მიხედვით, ბიზნესკომპანიების მხოლოდ 20%-ს ხელმძღვანელობს ქალი. მოსახლეობის 40%-ის აზრით, ქალები საკმარისად არ არიან ჩართული ეკონომიკურ სექტორში და 60% მიიჩნევს, რომ ისინი მეტად უნდა ჩაერთონ ეკონომიკის სფეროში. ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმისთვის, რომ გაძლიერდეს მათი როლი ოჯახურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. საქართველოს საჯარო სამსახურებში დასაქმებულ თანამშრომელთა გენდერული ბალანსის ანალიზისას გამოჩნდა, რომ მამაკაცთა მაღალი პროცენტი ძირითად განპირობებული იყო ძალოვან სტრუქტურებში დასაქმებულ მამაკაცთა სიმრავლით, ხოლო არა ძალოვან სტრუქტურებში ქალთა რაოდენობა თითქმის გათანაბრებული იყო მამაკაცთა რაოდენობასთან. აღნიშნული ტენდენცია ხელმძღვანელ პოზიციებზე დასაქმებული თანამშრომლების შემთხვევაში არ შეინიშნება. ხელმძღვანელ მამაკაცთა რაოდენობა, როგორც ძალოვან, ისე არაძალოვან საჯარო დაწესებულებში, ძალიან მაღალია.

რუსუდან ნადირაშვილი, (ინგლისური ენის პედაგოგი): „დღეს, სამწუხაროდ მაღალ თანამდებობებზე მამაკაცების სიჭარბეა. ყოველ წელს სულ უფრო და უფრო მეტი მოწოდება გაისმის ქალების დასაქმების შესახებ სახელმწიფო მმართველობის ორგანოებსა და პოლიტიკაში. ამრიგად, მთავრობამ უნდა შეიმუშაოს პოლიტიკა და გაზარდოს მდედრობითი სქესის წარმომადგენელთა რიცხვი მაღალ თანამდებობებზე. ჩემი აზრით, ამ პრობლემის მიზეზი ქართული მენტალიტეტია. ადრეული პერიოდიდან კაცები ორიენტირებულები იყვნენ კარიერაზე და ოჯახის მატერიალური უზრუნველყოფით იყვნენ დაკავებულნი. ოჯახისა და შვილების მოვლა პატრონობას კი მეუღლეებს გადასცემდნენ. შემთხვევითი არ არის, რომ ნორვეგია, შვედეთი და ფინეთი – მსოფლიოს ყველაზე დემოკრატიული და მდიდარი ქვეყნებია, სადაც დიდია ქალთა მონაწილეობა საკანონმდებლო თუ მსხვილი საფინანსო კორპორაციების მართვაში. სწორედ ეს ქვეყნები წარმოადგენენ პოლიტიკურად, ეკონომიკურად და სოციალურად ყველაზე სტაბილურ და წარმატებულ ქვეყნებს. 28 ნოემბრის არჩევნებმა ცხადჰყო, რომ ქართველმა მამაკაცებმა დაამსხვრიეს მითი იმის შესახებ, რომ ქალს მხოლოდ ოჯახის წარმოება შეუძლია და ქვეყნის საქმეები კი მათ ხელში უნდა იყოს. დღეს, საქართველოს ისტორიაში პირველად ქალია პრეზიდენტი. ვფიქრობ, ეს ფაქტი ხელს შეუწყობს გენდერულ ბალანსს და ქართველი ქალები აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ ქვეყნის მართვაში“.

ეკა ბათიაშვილი, (ფარმაცევტი, ემიგრანტი) – „ზოგადად ესპანეთი, ძალიან ჰუმანური ქვაყანაა, არ ხდება არანაირი გარჩევა სქესის ,რასის და ა.შ მიხედვით. გენდერული ბალანსიც შემიძლია ვთქვა, 50/50 დასაქმებულთა შორის, ჩვეულებრივ ასრულებენ ისეთ საქმეს, რაც საქართველოში მამაკაცის საქმედ მიიჩნევა, მაგ. დიდი სამგზავრო ავტობუსების მართვა, დიდ სატვირთო ავტომობილზეც შემინიშნავს ქალი მძღოლი და მატარებელზეც ..... თუმცა, არის საკითხები, სადაც ქალი არის პრივილეგირებული, მაგალითად, განქორწინების შემთხვევაში ქონების დიდი ნაწილი ქალს რჩება და კაცი ვალდებულია, მეუღლესაც უხადოს ალიმენტი, როგორც შვილებს ....

ამის გამო მამაკაცები დიდი სიფრთხილით ეკიდებიან დაქორწინების საკითხს, გვიანაც ქორწინდებიან და, ზოგადად, აქ და ამ ქალაქში პირველ ადგილზეა მოხუცი,შემდეგ ბავშვი, ქალი, ცხოველი და ბოლოს მამაკაცი...“

დასასრულს, უნდა გვახსოვდეს, რომ ქალთა აქტიურობის შეზღუდვა სერიოზულ გავლენას ახდენს საზოგადოებაზე, ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესების განხორციელებაზე. სახელმწიფომ და საზოგადოებამ კარგად გააზრებული ნაბიჯებით უნდა შექმნას ხელსაყრელი პირობები ქალთა ეკონომიკური და ინტელექტუალური შესაძლებლობების სრული რეალიზაციისთვის.

დღეს, როდესაც სახელმწიფო ახალი, ისტორიული რეალობის წინაშე დადგა საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად, იმედია, ეს დადებითად აისახება არა მხოლოდ ჩვენი სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის ვერტიკალზე, არამედ ქვეყნის თითოეულ ქალბატონს ექნება მეტი ხმა და მეტი ძალა ჩვენი ხვალინდელი დღის სწორად და სრულფასოვნად განვითარების საქმეში.

ელზა ხარაშვილი

აივ/შიდსი დაავადებაა და არა განაჩენი!

(მეოთხე გვერდიდან)

საყოფაცხოვრებო და სოციალური კონტაქტებით, ანუ თეთრეული, ჭურჭელი, საერთო აბაზანა და ტუალეტით სარგებლობა, საზოგადოებრივი ტრანსპორტი არანაირი საშიშროებას არ წარმოადგენს.

მკურნალობის შესახებ

დიდი პროგრესია ანტირეტროვირუსული მკურნალობის სფეროში. საკმარისის ითქვას, რომ FDA-ს მიერ ოფიციალურად მოწოდებულია 20-ზე მეტი ანტირეტროვირუსული მედიკამენტი და კიდევ რამდენიმე ათეული კვლევის ფაზაშია. მაშინ, როდესაც სხვა ვირუსული ინფექციების სამკურნალო პრეპარატების სპექტრი უკიდურესად შეზღუდულია და მხოლოდ რამდენიმე პრეპარატს მოიცავს. აივ ინფიცირებული პაციენტების მკურნალობას და მოვლას გლობალური ფონდი ხელშეწყობით საქართველოში ახორციელებს ,,ს.ს. ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიუკული ცენტრი”. აივ სტატუსის განსაზღვრის შემდეგ პაციენტი ცენტრის ეპიდემიოლოგიური განყოფილებიდან გადადის დისპანსერულ განყოფილებაში, სადაც იგი ხვდება ცენტრის ექიმი ინფექციონისტის მეთვალყურეობის ქვეშ და ტარდება პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის კლინიკური და ლაბორატორიული შესწავლა, აივ ინფიცირებულებს უტარდებათ ორგანიზმის გამოკვლევის ფართო პანელი, მიმდინარეობს იმუნური სისტემის (CD4, CD4/CD8) და სისხლში ვირუსული დატვირთვის შესწავლა. საბოლოოდ მიღებული შედეგების საფუძველზე ცენტრის ექიმის მიერ ხდება მკურნალობის საკითხის გადაწყვეტა. თუ პაციენტის მდგომარეობა არ მოითხოვს მის სტაციონარიზაციას მაშინ ხდება პაციენტის მკურნალობა ამბულატორიულად. ამ შემთხვევაში პაციენტს თავისი მკურნალი ექიმის მიერ ენიშნება არვ თერაპია და იგი ყოველთვიურად მოდის ცენტრში არვ პრეპარატების წასაღებად. ყოველი ვიზიტის დროს პაციენტი იღებს ერთი თვის საყოფ არვ პრეპარატებს. ყოველი ვიზიტისას ექიმი არკვევს თუ რამდენად სწორად იცავს პაციენტი არვ თერაპიის რეჟიმს, რა პრობლემები და ჩივილები აქვს მას. ექიმი აძლევს რჩევებს და რეკომენდაციებს, რათა სწორად მოხდეს მკურნალობის წარმართვა და გვერდითი ეფექტების არსებობის შემთვევაში ექიმი უნიშნავს გვერდითი ეფექტების საწინააღმდეგო მკურნალობას ან ცვლის პრეპარატს სხვა შედარებით უფრო ადვილად გადასატანი პრეპარატით. საჭიროების შემთხვევაში ხდება პაციენტის ჰოსპიტალიზაცია ცენტრის სტაციონარულ განყოფილებაში, სადაც თანამედროვე აპარატურით აღჭურვილ პალატებში პაციენტს მორიგე ექიმის მიერ უტარდება ყველა საჭირო სამკურნალო ღონისძიება. შიდსის ცენტრში აღრიცხვაზე მყოფ პაციენტებს წელიწადში სამჯერ უტარდებათ გამოკვლევები ხდება იმუნური სისტემის მდგომარეობის და ვირუსული დატვირთვის შესწავლა, მიმდინარეობს პაციენტის მდგომარეობის მონიტორინგი, რაც აუცილებელია მკურნალობის დაწყების მომენტის განსაზღვრისათვის. ასეთი დამოკიდებულების გამო პაციენტი თავს დაცულად გრძნობს, მან იცის, რომ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა ექიმის მუდმივი კონტროლის ქვეშაა აყვანილი და საჭიროების შემთვევაში შეუძლია დახმარებისათვის მიმართოს თავის მკურნალ ექიმს.

მსოფლიო სტატისტიკა

UNAIDS-ის მონაცემებით, მსოფლიოში 36.7 მილიონი აივ/შიდსით დაავადებული იყო. დაინფიცირდა 1.8 მილიონი და გარდაიცვალა 1 მილიონი ადამიანი. 20.9 მილიონი იმყოფება არვ თერაპიაზე.

ოფიციალური სტატისტიკით, ყოველწლიურად სტაბილურად მცირდება აივ/შიდსთან დაკავშირებული სიკვდილიანობა. ამ მაჩვენებლის პიკი აღინიშნა 2005 წელს, როდესაც გარდაიცვალა 2 მილიონი ადამიანი. 2015 წელს ეს რიცხვი 45 პროცენტით შემცირდა 1,1 მილიონამდე. ეს განაპირობა ანტირეტროვირუსული თერაპიის, მოვლისა და მხარდაჭერის პროგრამების გაფართოებამ, განსაკუთრებით დაბალი და საშუალო შემოსავლების მქონე ქვეყნებში.

ანტირეტროვირუსული თერაპიის ხელმისაწვდომობის გაზრდასთან ერთად ჩრდილოეთ ამერიკაში, დასავლეთ და ცენტრალურ ევროპაში, შიდსით გამოწვეული სიკვდილიანობის მაჩვენებელმა დაიწყო შემცირება. აზიაში, ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში სიკვდილიანობის რიცხვი სტაბილურია, ხოლო აღმოსავლეთ ევროპაში გარდაცვლილთა რაოდენობა კვლავ იზრდება.

შიდსით სიკვდილიანობა, ძირითადად, გამოწვეულია დაგვიანებული დიაგნოსტირებითა და მკურნალობით. ადრეული დიაგნოსტირების შემთხვევაში მნიშვნელოვნად იზრდება მკურნალობის ეფექტიანობა და მცირდება სხვების დაინფიცირების საფრთხე. ექიმების თქმით, საქართველოში არის უნივერსალური მისაწვდომობა შიდსის დიაგნოსტიკასა და მკურნალობაზე, თუმცა, არის ინფიცირების გამოუვლენელი შემთხვევების დიდი რაოდენობა, რომელიც აღნუსხული შემთხვევების 44%-ია. საქართველოში აივ/შიდსის რეგისტრირებული შემთხვევების (სულ 7380) 46,2%-ში დაინფიცირება მოხდა ჰეტეროსექსუალური კონტაქტის შედეგად, მეორე ადგილზე გადაცემის გზების მიხედვით ნარკოტიკების ინექციური მოხმარებაა, მესამეზე - მამაკაცებს შორის სქესობრივი კონტაქტი (11,1%). ინფიცირების ყველაზე მეტი შემთხვევა თბილისშია რეგისტრირებული.

„შირაქის“ სკივრი

გაზეთ „შირაქის“ რედაქცია დედოფლისწყაროს მრავალწლიან ისტორიას ინახავს. უნიკალური ამბები სხვაგან არსადაა ასე დაცული, ამიტომ გადავწყვიტეთ, ჩვენს არქივში შემონახული გაზეთის ძველი, გაყვითლებული ფურცლებიდან საინტერესო ამონარიდები კვლავაც შემოგთავაზოთ.

1975 WLIS DEKEMBERI

● REDAQCIASI WERILI SEMOVIDA, 1 MAISIS, YAZBEGIS, WERETLIS QUCEBIS MACXOVREBLEBI RKINIGZIS WITELWYAROS SADGURTAN GADASASVLELI XIDIS, AN GVIRABIS SAWIROEBAS GVAMCNOBEN. AVTOREBI ASEVE SAMARTLIANAD CIODNEN SADGURIS TERITORIIS DABINZUREBAZE. GANSAKUTREBIT IQ, SADAC VAGONEBIDAN SASUQSA DA KOMBINIREBUL SAKVEBS CLIAN. MACXOVREBLEBI MOITXOVEN SASAQONLO SEMADGENLOBATA GASACEREBLAD GAMOIYOS ADGILI SADME QALAQGARET, RADGAN RKINIGZIS SADGURTAN CAMOMDGAR VAGONTA UWYVET GRZEL RIGS MOQALAQEEBI XSIRAD MTELI KILOMETRIS SIGRZEZE UVLIAN XOLME, RAC DIDAD AFERXEBS MAT SAMSAXUREBSI DROUL MISVLAMOSVLAS. ZOGIC MAZUTIAN VAGONEBS QVES ZVREBA DA TANISAMOSI SUL ETXVREBA. MATAREBLEBIS XSIRI MOZRAOBA IWVEVS AUTANEL XMAURS, DRES KI CVENS QVEYANASI XMAURIS ARSAKVETAD MRAVALI RONISZIEBANI TARDEBA, ES MDGOMAREOBA KI MOUTMENELIA~. WERILZE SAPASUXOD CVENI KORESPONDENTI RKINIGZIS SADGURIS UFROSS OTAR SAMXARAZES ESAUBRA. `GADASASVLELI XIDIS MSENEBLOBA JER VXERXDEBA, ES DID TANXEBS ITXOVS, -ALOGIURIA GVIRABIS GAYVANAZEC. QALAQSI, SADAC SAKANALIZACIO SISTEMA AR ARIS, GVIRABIS GAYVANA SEUZLEBELIA. GAMONADEWYLEBS GZA AR EQNEBA. MOMAVAL WELS EQSPLOATACIASI GADMOGVECEMA SASUQEBIS SAWYOBI QALAQIS SEMOSASVLELSI DA SEMDEG ADGILI ARAR EQNEBA SASUQEBIS DA SAXLEBASI DACLAS.~

● GANVLIL OR WELIWADSI RAIONIS SAZOGADOEBRIVI MEURNEOBEBIS MEZRDXEOBISA DA MECXVAREOBIS FERMEBI MUSAKEBMA VER SEASRULES ZOGIERTI DANAPIREBI, MAGALITAD, MAT AM PERIODSI AWARMOES 21,291 TONA RZE, RITAC GEGMAS DAAKLES 487 TONA. 705,1 TONA MATYLI, ANU GEGMIURTAN SEDAREBIT 59,7 TONIT NAKLEBI. UNDA VIBRZOLOT NAKLOVANEBEBIS DASAZLEVAD. JER KIDEV UAMRAVI REZERVIA KOLMEURNEOBEBSI ASAMOQMEDEBELI. GAUMJOBESEBAS MOITXOVS MSROMELTA KOMUNISTURI ARZRDA. MATTVIS SRDXMISADMI NAMDVILI KOMUNISTURI DAMOKIDEBULEBIS CAMOYALIBEBA, SAMEURNEO AMOCANATA IDEOLOGIURI UZRUNVELYOFA. ARIS IMIS SRULI PIROBA, ROM UKETESAD DAVIWYOT 10-E XUTWLEDI DA SASAXELO MACVENEBLEBIT SEVXVDET MSOBLIURI KOMUNISTURI PARTIIS MORIG YRILOBAS.

● `WLEBIS MANZILZE CEMMA DAURALAVMA SROMAMIS SEDEGI GAMOIRO, ROM XALXMA NDOBA GAMOMCXADA DA WITELWYAROS RAISABWOS DEPUTATAD DA ARMASKOMIS WEVRAD AMIRCIA. RITAC DIDI BEDNIEREBA MXVDA WILAD, ROM MUSAM MONAWILEOBA MIVIRO WITELWYAROS RAIONIS SAWIRBOROTO SAKITXEBIS GADAWYVETASI. CEMI UFLEBAMOSILEBA BEVRJER GAMOMIYENEBIA DA PRINCIPULI MONAWILEOBA MIMIRIA AMATU IM SAKITXIS GADAWRASI. KVLAVAC AR DAVISUREB ENERGIAS XALXIS SAKETILDREOD. VISROMEB UKETESAD, RATA VAMRAVLO GAMARJVEBEBI. AXLAC CABMULI VAR WINASAYRILOBO SOCIALISTUR SEJIBREBASI MTELI ENERGIIT VMUSAOB, RATA WLEVANDELI WELI WARMATEBIT DAGVIRGVINDES. ROGORC SAAMQROS 11 TVIS SEDEGIDAN CANS, SURVILI MIRWEULIA DA MEES MAXAREBS,~ - GVWERS WITELWYAROS ADGILMREWVELOBIS KOMBINATIS SAMKERVALO SAAMQROS MWRELI, RAISABWOS DEPUTATI N. GONASVILI.

● 15 DEKEMBRIDAN DAIWYEBA XANZARSAWINAARMDEGO ERTTVIURI. AMIT UNDA MIVARWIOT WITELWYAROS RAIONSI XANZRIS WARMOSOBISA DA MISGAN GAMOWVEULI ZARALIS TAVIDAN ACILEBAS. UNDA GAVAZLIEROT AGITACIA-PROPAGANDA, ROGORC KOLMEURNEOBEBSI, MEURNEBEBSI, WARMOEBA-DAWESEBULEBEBSI, ISE SACXOVREBEL SEQTORSI. MOQALAQENO, MOGIWODEBT, FARTO MONAWILEOBA MIIRET ERTTVIURIS CATAREBASI TU USAFRTXOEBIS WESEBIS CODNIS GADACEMASI.

1977 WLIS DEKEMBERI

● `ALO, REDAQCIAA?... SAMI DREA CECXLZE LOBIOSA VXARSAV DA VER MOMIXARSIA. 10 DREA GAZI GAMOVIWERE, JERAC AR MOUTANIAT... ME EXLA RA VWAMO?.. RAS AKETEBS REDAQCIA, MAND RISTVISA SXEDXART, RASI GAZLEVEN XELFASS?... ZARIS AVTORI DAVAWYNARET DA VURCIET AN GANCXADEBA DAEWERA REDAQCIIS SAXELZE, AN GAZIFIKACIIS KANTORISTVIS MIEMARTA. "ME MAGISTVIS SADA MCALIAN, SACQAROZE AMODI DA AWA MNAXET. ABA YURZRNI IYOS SADME TU AR WAXVIDODIT?... REDAQCIASI YVELA ICNOBS, DREDARAM USAFUZVLO CIVILSA DA DAVAZE DGASMIS ASAKSI MYOFMA ELEMENTARULI ZRDILOBA UNDA ICODES. YVELA DIDI DA PATARA SACIVARI SXVAGVARAD UNDA DAIWYOS. UTAQTOSA DA UZRDELS REDAQCIIS VERCERTI JURNALISTI MXARSI VER AMOUDGEBA.

● 500 GOWI - GEGMIS ZEVIT. MEROREOBA WITELWYAROS LENINIS KOLMEURNEOBIS ERTERTI WAMYVANI DARGIA. MISGAN YOVELWLIURAD ASIATASOBIT MANET SEMOSAVALS REBULOBEN. AQAURMA MEROREEBMA GANSAKUTREBULAD IVAJKACES. MEROREOBIS # 5 BRIGADAM JER KIDEV 4 TVIS WIN UPATAKA WLIURI GEGMIS SESRULEBA KOLMEURNEOBAS. KARGI MOVLA PATRONOBIS DA KVEBIS SAUKETESO REJIMIS GAMO MINIMUMAMDEA DAYVANILI GOWEBIS SIKVDILIANOBA. SAMAGIEROD, DIDI GADAWARBEBITAA SESRULEBULI NAMATIS MIREBA-GAMOZRDIS DAVALEBA. WLIURI GEGMIT GATVALISWINEBULI 1 150-IS NACVLAD 11 TVESI UKVE MIVIRET 1 640 GOWI. AMITOMAC, BRIGADIS OTAXSI HKIDIA WITELI ALAMI WARWERIT `MOWINAVETA BRIGADAS~, ALAMI SOCIALISTUR SEJIBREBASI MOPOVEBULI WARMATEBEBISTVIS MIIRES. MEROREEBI ARC MOMAVALSI APIREBEN MIS DATMOBAS.



მიმდინარეობს მოძრაობის უსაფრთხოების ერთთვიური. წითელწყაროს ტრანსპორტის და შს რაიგანყოფილების ავტოინსპექციის მუშაკები საქსოფლტექნიკის წითელწყაროს ავტოპარკის ხელმძღვანელებთან განიხილავენ უსაფრთხოების ნორმებს - 1977 წ.

1978 WLIS DEKEMBERI

● WLEULS, AM TVIS MDGOMAREOBIT, WITELWYAROS RAIONSI MSXVILFEXA RQOSANI SAQONLIS 11 FERMA DA 131 BRIGADAA, ROMLEBSIC MOTAVSEBULIA 25 122 SULI YVELA ASAKIS MSXVILI RQOSANI SAQONELI. MAT SORIS MEWVELI ZROXEBIS RAODENOBA SEADGENS 7 700 SULS; MEROREOBIS 11 FERMASA DA 56 BRIGADASI 27 300 SULI RORIA. MEFRINVELEOBIS 11 FERMASA DA 56 BRIGADASI HYAVT 188 928 FRTA FRINVELI. URIGO MACVENEBELI AR UNDA CANDES. ISETI SASOFLO-SAMEURNEO RAIONIS KVALOBAZE, ROGORIC WITELWYAROA. ES KI CVENI MSROMELEBIS OFLIS SEDEGIA.

● RATOMAA GAMORTULI FERMEBSI ELEQTROOBA? MOUWESRIGEBELIA ASEVE MEFRINVELEOBISA DA MECXOVELEOBIS FERMEBSI WYLITDROULAD MOMARAGEBIS SAKITXI. ES TU AR DACQARDA, ISE SAQME AR GAMOVA. PIRUTYVS MXOLOD DAQUCMACEBULI, SEMZADEBULI UXESI SAKVEBI UNDA MIVCET, TU KARGI SEDEGIS MIREBA GVINDA. MTELI DATVIRTVIT UNDA VAMUSAOT SAKVEBIS GADAMAMUSAVEBELI AGREGATEBI. FICXELI MUSAOBA GAVACAROT GEGMEBISA DA VALDEBULEBEBIS SAUKETESOD GASANARDEBLAD. SOCIALISTURI SEJIBREBA SRULAD UNDA GAISALOS MTELI RAIONIS TERITORIAZE.

(STILI DACULIA)

მოამზადა
ილია მარტყოფლიშვილმა

მიშიკო ბიკაშვილი

ნოემბრის თვის დადგომა უფრო მეტად გვიმძაფრებს შენი დაკარგვით გამოწვეულ დიდ ტკივილს. 27 ნოემბერს მეთერთმეტედ ვხვდებით უშენოდ შენს დაბადების დღეს. მოუშუშებელი ტკივილი ხარ ყველასთვის. ვერაფერი ავსებს და აქარვებს შენით მიყენებულ სიცარიელეს. ღმერთმა სამუდამო სასუფეველი დაგიმკვიდროს იმქვეყნად.

დიდი მონატრებით შენი გელა ბიკაშვილის ოჯახი.

წარმატებები ევროპის პირველობაზე

17-18 ნოემბერს ქ.თბილისში ჩატარდა ევროპის პირველობა ძალისმიერ სამჭიდში, რომელშიც ოთხასზე მეტი სპორტსმენი მონაწილეობდა უკრაინიდან, ირანიდან, სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან, პოლონეთიდან, რუსეთიდან, თურქეთიდან, საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან. სპორტსმენები ერთმანეთს ერკინებოდნენ ძალისმიერი სამჭიდის სამ დისციპლინაში-სამჭიდი, ამოწევა და წოლჭიმი. შეჯიბრში მონაწილეობდნენ როგორც მოყვარულები, ასევე პროფესიონალები. პროფესიონალთა შორის ასპარეზა ჩვენი მუნიციპალიტეტის კლუბ „ლეგიონის“ სამმა სპორტსმენმა- ნუკრი ქოზაშვილმა, ოთარ გავაშელიშვილმა და ქამილან ისმაილოვმა. სამივე სპორტსმენს სპორტული ცხოვრების არცთუ პატარა გზა აქვს გავლილი. ისინი მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს ფლობენ და ასპარეზობის საკმაო გამოცდილებაც აქვთ. აქედან გამომდინარე, მათ მიერ ამ შეჯიბრზე მიღწეული წარმატებები სრულიად ლოგიკურია. შედეგი კი ასეთია: სამივე მონაწილე გახდა ჩემპიონი თავის წონაში. როგორც ყოველთვის საუკეთესო შედეგი აჩვენა წოლჭიმში ჩვენმა ყველაზე ახალგაზრდა მონაწილემ ნუკრი ქოზაშვილმა. ნუკრი ჯერ მხოლოდ 13 წლისაა, 55 კილოგრამს იწონის და უკვე ორგზის ევროპის და მსოფლიო ჩემპიონის ტიტულებს ფლობს. ამჯერად მან მაღალი შედეგი აჩვენა- 65, 70, 73 კილოგრამი და მრავალ მონაწილეთა შორის პირველი ადგილი მოიპოვა. წარმატებით იასპარეზა ასევე 16 წლის ოთარ გავაშელიშვილმა 80 კილოგრამ წონით კატეგორიაში. მისი შედეგებია - 90-90-98 კილოგრამი, რითაც პირველ ადგილს დაეუფლა. 26 წლის ქამილან ისმაილოვმა 160-170 და 200 კილოგრამი დააფიქსირა და საკმაოდ ძლიერი ორი ირანელი მონაწილის დამარცხების შემდეგ პირველი ადგილი გაინაღდა. ასე რომ, „ლეგიონის“ მიერ წარგზავნილი 3 მონაწილიდან სამივე ჩემპიონი გახდა. გუნდს უფრო მეტი სპორტსმენის წარდგენა შეეძლო, რომლებიც არანაკლებ შედეგებს დადებდნენ, მაგრამ ფინანსების უქონლობის გამო ეს არ მოხერხდა. კარგი იქნება, თუ გუნდს ეკონომიკურად დაეხმარებიან შეძლებული ფირმერები და მეწარმეები.

ევროპის ჩემპიონატს წინ უსწრებდა დედაქალაქში გამართული საქართველოს ჩემპიონატი, სადაც „ლეგიონის“ 5 სპორტსმენი მონაწილეობდა. ნუკრი ქოზაშვილმა, მიშიკო ზუბიაშვილმა და სერგო პეტროსიანმა ორჭიდში პირველი ადგილები მოიპოვეს, თედო ვარდიშვილმა ამოწევაში მეორე ადგილი, ხოლო ნიკა ლაპიაშვილმა წოლჭიმში მესამე ადგილი დაიკავა. საინტერესო. უფრო მაღალი შედეგებიც შეიძლება ვაჩვენოთ, თუ ვარჯიშის უკეთესი პირობები და ფინანსური მხარში დგომა გვექნება.

მიხეილ სეხნიაშვილი,
გუნდ „ლეგიონის“ მწვრთნელი

ხსოვნა

დემურ აფციაური



ამბობენ, ღმერთსაც კარგები უნდაო, ალბათ ასეა. როდესაც საყვარელ ადამიანს კარგავ, თითქოს გულიდან რაღაც გეგლიჯება. ამბობენ, დრო ყველაფრის მკურნალიაო, მაგრამ არ ყოფილა ეს ფრაზა მართალი-უბრალოდ, ვეჩვევით ამ ტკივილს...

1 დეკემბერი ჩვენი ოჯახისთვის უბედურების მომტანია. ამ დღეს დაგვტოვე სრულიად მოულოდნელად. 14 წელი გავიდა მას შემდეგ. 23 სექტემბერს 75 წლის გახდებოდი. ჩვენ მოვედით შენს საფლავთან, ყვავილებით შევამკეთ და დაგინთეთ ნმინდა სანთლები. შენ უზომოდ კეთილი იყავი. ყველა გიყვარდა, ნათესავი თუ მეზობელი, განსაკუთრებით- ბავშვები. შენი შვილები არ გივიწყებენ. ზაფხულში, როცა ყველა ერთად ვიკრიბებით, მოვდივართ შენს სამუდამო განსასვენებელთან და შენი შვილები გიყვებიან უშენოდ გატარებულ დღეებზე. გულდასაწყვეტია, ადამიანი რომ სრულიად ახალგაზრდა ასაკში მიდის ამქვეყნიდან, სიცოცხლეგაუმაძღარი. არადა, როგორ გიყვარდა სიცოცხლე, სიხარულით ოცნებობდი პაპობაზე, მაგრამ მუხთალმა ბედისწერამ არ გაგახარა ცხოვრებით. ადრე წაგიყვანა იმქვეყნიურ სოფელში, სადაც ნეტარ არიან ღმერთისგან რჩეულნი... ოდესმე ალბათ ყველა ერთად შევიყრებით...

მსუბუქი იყოს შენს მკერდზე დაყრილი ქართული მიწა. ღმერთმა დაგიმკვიდროს ცათა სასუფეველი.

შენი ოჯახი.

გამოსათხოვარი

ნათელა მესტიაშვილი

„დირექტორის კაბინეტის კარი მორცხვად შეაღო, ღელავდა, თავს შებოჭილად გრძნობდა. არბოშიკელმა გოგონამ პირველივე დღეებიდან ყურადღება მიიპყრო, როგორც საქმისათვის თავდადებულმა. მას შემდეგ ნათელა მესტიაშვილის სურათი არ სცილდება მოწინავეთა დაფას. ღვინის ქარხანა რომ ყოველწლიურად გადაჭარბებით ასრულებს გეგმას, მისი წვლილიცაა. როცა ქარხანა ყურძენს იბარებს, ნათელა მუდმივად საქმის შუაგულში ტრიალებს. უთენია იწყებს, გვიან ღამემდე მიმღებში ზის და წერს. მალე ღვინის ქარხნის კომკავშირელებმა კომიტეტის წევრად აირჩიეს, შემდეგ პროფკავშირის კომიტეტს წარმატებით ხელმძღვანელობდა. დაუღალავად შრომობდა ქარხნის მუშათა კულტსაყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისთვის. მას ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვან მომენტად ის დღე მიაჩნია, როდესაც ხალხმა რაიონული საბჭოს დეპუტატად აირჩია. ეს დიდი ნდობა იყო და ცდილობს ბევჯითი შრომით უპასუხოს, კარგად იცის, რომ დეპუტატის მოვალეობა ხალხის სამსახურია“ — ასე იწყებოდა 1975 წლის დეკემბერში გაზეთ „ახალ შირაქში“ გამოქვეყნებული ვრცელი სტატია „დეპუტატის საზრუნავი“.

თბილი და მზრუნველი იყო საახლობლოშიც. ზედმეტად გვათამამებდა, ამიტომაც უშუქობისა და უძრაობის ხანაში დროის დიდ ნაწილს ბიცოლასთან ვატარებდით. მათთან ყოველთვის მიგვიხაროდა. მან შეძლო, შავი 90-იანები ყველაზე კარგ პერიოდად შემორჩენოდა ჩვენი ბავშვობის წლებს. იმდენი ლამაზი დღე და მოგონება გვახსოვს, შეუძლებელია სადმე დაატიო, ემოცია სრულად გადმოსცე.

სამწუხაროდ, ამ ყველაფერზე წარსულში გვიწევს საუბარი. ნაადრევად გამოგვეცალა ხელიდან და მარადისობაში გადაინაცვლა. ყოველთვის გვემახსოვრები!.. მშვიდობით, ნათელა ბიცოლა!...

მაზლიშვილების სახელით, ილია მარტყოფლიშვილი

„მხოლოდ ენა, სარწმუნოება და ტრადიციები შემოგვრჩა და ამას ვერავინ წაგვართმევს“...

(მეხუთე გვერდიდან)

მოსალოდნელი პრობლემების გამო ვცდილობ, კადრები ისე გადავიღო, პოლიციამ არ დამაფიქსიროს. საბოლოოდ, ტაძრის გარეთ ინტერვიუებსაც ისე მალულად ვწერ, გადაღებას ისე ვახერხებ, არცერთ სამართალდამცველს არ დაუფიქსირებია, რომ ჟურნალისტი ვარ. ვაცნობიერებ, სად ვარ, ამიტომ ტაძრის უკანა მხარეს ვჩერდები და იქ ვეკითხები ადგილობრივებს არსებული პრობლემების შესახებ. ტაძრის კართან და ყველა მხარეს ჯგუფ-ჯგუფად პოლიცია დგას. ჩემდა გასაოცრად, კამერის წინ საუბარზე უარი არავის უთქვამს, მაგრამ პრობლემებზე ღიად არცერთს არ უსაუბრია. ადგილობრივები ხელისუფლების მხრიდან რწმენისა და იდენტობის შენარჩუნებაში ხელშეშლის ფაქტებზე არ გვიყვებიან, თუმცა, პირად საუბრებში ამბობენ, რომ უშიშროების სამსახური ტაძრის კართან სამოქალაქო ფორმაში იდგა და ლოცვაზე შემსვლელებს აფიქსირებდა.

„ალიბეგლოდან მოვედით, რომ სანთელი ავანთოთ და ჩვენი შვილების ჯანმრთელობა ვთხოვოთ. ძალიან გვწამს წმინდა გიორგის, წირვებს ვესწრებით. ჩვენთვის სულ სხვა მადლი აქვს ამას, აქ ქართველები ვართ და რწმენა მნიშვნელოვანია. ნინოობასაც ვზეიმობთ ხოლმე. ხელს არ გვიშლიან. დღეს სამუშაო დღეა, მაგრამ ყველა, ვინც საჯარო სამსახურში ვმუშაობთ, ხელი შეგვიწყეს, დაგვითხოვეს, რომ აქ ამოვსულიყავით. მეც და ჩემი მეუღლეც სახელმწიფო სამსახურში, საბავშვო ბაღში ვმუშაობთ, მაგრამ პრობლემა არ შეგვქმნია,“ – აღნიშნავს სილვა ტარტარაშვილი.

„ქრისტიანები ვართ, ჩვენს წესს ყველანაირად ვიცავთ. წელიწადში ორჯერ აუცილებლად მოვდივართ. ჰერეთში რწმენა უმაღლეს დონეზეა, ნამდვილი ქართველები ვართ აქ!... მე იმერელი ვარ, აქეთ გამოვთხოვდი,“ – გვიამბობს შუა ხნის ქალბატონი.

„ყოველთვის ამოვდივართ აქ, ბებია დადიოდა და ტრადიცია მისგან შემოგვრჩა. მან 112 წელი იცოცხლა. ქართული ადათ-წესები გვაქვს და ყველაფერს ვიცავთ. ქორწილებსაც ქართულად, თამადით ვიხდით. ყოველ კვირას მივდივართ კახის ეკლესიაში და მამა პეტრეს ვუსმენთ, მისი ძალიან კმაყოფილი ვართ. მეუფეც ხშირად ჩამოდის. მამა პეტრე ძალიან კეთილია, ყველანაირად მეხმარება და თუ რაიმე შესწირეს, აუცილებლად მაძლევს. ადრე რაიონიდან მანქანებსაც არ უშვებდნენ, ამიტომ „ტრასაზე“ ფეხით მოვდიოდით, უფრო მეტი ხელშეშლა იყო, მათაც სწამთ ჩვენი. ახლა მთის ძირამდე უშვებენ ტრანსპორტს და შემდეგ ფეხით ამოვდივართ,“ – ყვება მოხუცი ბებო, რომელსაც უჭირს და შემოწირულობის წაღება მისთვის მნიშვნელოვანია.

საინტერესო იყო ქურმუხის ტაძარში მესანთლის ქცევა. ის თავად მოდის და სურს ჩავწერო, მიხსნის, რომ ჟურნალისტებმა ის ადრეც ალაპარაკეს. სიამოვნებით დავუსვი კითხვები, ძირითადად იმაზე, უშლით თუ არა ვინმე ხელს. უარყოფს, არც ის ახსოვს, აზერბაიჯანულმა ტელეარხებმა როგორ გააშარჟეს ქურმუხის ტაძარი, როგორ ხტუნაობდნენ, ცეკვავდნენ და მღეროდნენ ამ ტაძარში. მიუხედავად იმისა, რომ სარკაზმით სავსე ვიდეოკლიპები ორჯერ გადაიღეს და გასულ წელს ვანდალიზმი კიდევ ერთხელ განმეორდა, მესანთლე ამბობს, რომ ამის შესახებ არაფერი იცის. არადა, რგოლები დიდხანს ტრიალებდა ადგილობრივ ტელეეთერში. მის გულწრფელობაში ეჭვი მეპარება და მიკვირს, თუ ამ ტაძარში მსახურობს, როგორ გამორჩა ეს.

მეუფე დიმიტრი კაპანაძე (ხორნაბუჯის და ჰერეთის ეპისკოპოსი): „ძალიან დიდი სიყვარული აქვთ ჰერელებს წმინდა გიორგის მიმართ, დილაადრიან, სიბნელისას იწყებენ მსვლელობას. საქართველოს ყველა კუთხიდან ჩამოდიან ჰერეთში. ვისაც რაიმე შეხება ჰქონია ჰერეთთან და ახლა სხვაგან ცხოვრობენ ან მუშაობენ, გიორგობისთვის აუცილებლად ბრუნდებიან და მოილოცავენ ამ ტაძრებს. ეპარქიას ამჟამად საშუალება აქვს ვიმსახუროთ ორ ტაძარში, რომელთა რეგისტრაცია მოხდა. ესენია კახის წმინდა გიორგის და ალიბეგლოში წმინდა ნინოს სახელობის ტაძრები. ხოლო ქურმუხში მხოლოდ გიორგობას გვაქვს მსახურების ნებართვა, ამ ეტაპზე კვლავ მიმდინარეობს ქოთოქლოს ტაძრის რეგისტრაციის პროცესი. ვმუშაობთ, რომ იქაც შევძლოთ ღვთისმსახურების შესრულება, მაგრამ საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია. რაღაც ეტაპი გავიარეთ, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ მივაღწიეთ შედეგს. ყოველ გიორგობას ღვთისმსახურებას ქურმუხის ტაძარში აუცილებლად აღვასრულებდით, ახლა დრომ და სიტუაციამ მოიტანა, რომ შევძელით, წირვა ჩაგვეტარებინა. აქამდე პირიქით ხდებოდა. ჯერ კახში ვწირავდით, შემდეგ ქურმუხში ამოვდიოდით, პარაკლისს ვიხდიდით“.





დეკანოზი პეტრე ხუმარაშვილი (კახის წმ. გიორგის ტაძრის წინამძღვარი): „აქ მცხოვრებ ხალხში ამ დამოკიდებულებას საფუძველი დიდი ხნის წინ ჩაეყარა წინაპრების მიერ. არსებობს უამრავი სასწაული, რომელიც ქურმუხის ტაძარს უკავშირდება. მიუხედავად იმისა, რომ უამინდობაა და ცივა, ხალხი მაინც ფეხშიშველი ამოდის და ესეც მეტყველებს, რაოდენ დიდია რწმენა. თუ შევადარებთ ჩემი აქ ჩამოსვლის პერიოდთან დღევანდელ ვითარებას, შემიძლია ვთქვა, რომ აღმსარებელთა რიცხვი გაიზარდა. აქ ყველა მორწმუნეა, მაგრამ აღმსარებელი, ვინც ეკლესიაში მუდმივად დადის, ყველა არ არის. აქ არსებობს ქართველების სოფელი ქოთოქლო, სადაც არის ყოვლადწმინდა სამების ძირძველი ტაძარი. ადგილობრივებს დიდი სურვილი აქვთ, ამოქმედდეს. 2 წელია, ვცდილობთ და იმედი გვაქვს, უახლოეს პერიოდში მოვახერხებთ. ნებართვებს განსაზღვრავს აზერბაიჯანის კანონი რელიგიის შესახებ და ამ ნებართვის მისაღებად ნაბიჯებს ვდგამთ. სერიოზულ დაბრკოლებებს არ ველით.“

წირვის დასრულების შემდეგ ისევ კახინგილოში დავბრუნდით, რათა ამჯერად მოქმედ ტაძარში საღამოს მსახურება აღევლინათ. აქაც უკვე ხალხმრავლობა შეინიშნებოდა. სოფელ კახინგილოს გამგებელი ეთნიკურად ქართველი ქრისტიანი, **თენგიზ ოთარაშვილია.** როცა ვკითხე, კახის გამგებელი ხართ-თქო, გაოცებული მპასუხობს, იქ ვინ დამნიშნავს, სოფლის გამგებელი ვარო. ალბათ, იმას გულისხმობს, რომ ქართველს ასეთ თანამდებობას არ ჩააბარებენ. მეტყველებაში ძლიერი აქცენტი აქვს, ამდენად სახელი რომ არა, ვერც მივხვდებოდი, რომ ქართველია. მამა პეტრე თენგიზს ძალიან ემადლიერება და ამბობს, რომ მუდმივად თავზე დასტრიალებს. სოფლის თავკაცი როცა იგებს, რომ დედოფლისწყაროდან ჟურნალისტი ვარ, გვერდით მიჯდება და დიალოგში შემოდის. **იხსენებს, რომ ნაციონალური მოძრაობის დროს კახეთის გუბერნატორი, ასევე ლაგოდეხისა და დედოფლისწყაროს გამგებლები ჰერეთში გიორგობაზე ყოველ წელს ჩადიოდნენ, გული სტკივა, რომ ეს ტრადიცია დაირღვა. წელსაც არცერთი მათგანი არ იყო.** ბატონი თენგიზი ამბობს, რომ ცდილობენ მამა პეტრეს ყველანაირად გვერდში დაუდგნენ. ასევეა რელიგიის კომიტეტის წარმომადგენელი კახში, რომელიც დილიდან საღამომდე პროცესს აკვირდებოდა. როგორც საუბრიდან ირკვევა, ძალოვანი უწყებების ადგილობრივი ხელმძღვანელები ცდილობენ, ყურადღება გამოხატონ, გაძლიერებულ პატრულირებას კი იმით ხსნიან, რომ ქურმუხის ტაძარი დაუსახლებელ, ტყიან გორაზე მდებარეობს და რადგან ლოცვა გამთენიას დაიწყო, სამართალდამცველებმა მამაოს სთხოვეს, უსაფრთხოების მიზნით ტერიტორია გაეკონტროლებინათ. სამართლიანობისთვის ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქურმუხისგან განსხვავებით კახის ტაძართან არცერთი პოლიციელი არ დამფიქსირებია, მაშინ როცა, ქურმუხთან პირიქით იყო.

ჰერეთში იმყოფებოდნენ აზერბაიჯანში საქართველოს საელჩოს წარმომადგენლებიც. „შირაქის“ კითხვაზე – რა კეთდება ადგილობრივი ქართველებისთვის, საელჩოს წარმომადგენლები სერიოზულ პრობლემებს არ აღიარებენ. მათი თქმით, ერთერთ სოფელ ალიბეგლოში ახალი ქართული სკოლის ასაშენებლად ილჰამ ალიევმა მილიონიანი დაფინანსება გამოყო, მშენელობლობა კი სულ მალე დაიწყება.

კახა აბდალაძე, (აზერბაიჯანში საქართველოს საელჩოს პრეს-სპიკერი, ელჩის მრჩეველი): „მოხარული ვართ, რომ მრევლი მრავლად იყო, ბევრი ეზიარა, ბევრმა აღსარება ჩააბარა. რაც იმაზე მიანიშნებს, რომ რწმენაში მტკიცედ არიან. მოხარული ვარ, თქვენც რომ ჩამობრძანდით და დაინტერესდით ჰერების პრობლემებით. რაც შეეხება ყურადღებას, საელჩო ცდილობს, რაც შეიძლება ხშირად ვიაროთ აქ. აზერბაიჯანში საქართველოს ელჩი ბატონი ზურაბ პატარაძე ამჟამად შვებულებაში იმყოფება და ამიტომ ვერ ჩამოვიდა, საელჩოს წარმომადგენლები, თითქმის მთელი შემადგენლობით ჩამოვედით და საღმრთო ლიტურღიაში მივიღეთ მონაწილეობა. მე ვეზიარე კიდეც, ყველანაირად ვცდილობთ ჰერებს, ჩვენს ქართულენოვან მოსახლეობას ყურადღება არ მოვაკლოთ. იმედია, მომავალში კიდევ გვექნება წარმატებები. აქვეა განჯაში საქართველოს გენერალური კონსული მამუკა ბალავაძეც. მე ვფიქრობ, აზერბაიჯანის ხელისუფლება ამ საკითხებს აქცევს ყურადღებას, დარწმუნებული ვარ და მგონია, რომ ყველანაირად ცდილობენ, მულტიკულტურიზმი განავრცონ. პირადად მე ეკლესიაში ბაქოშიც დავდივარ, სალოცავად აქაც ჩამოვდივართ, ასე რომ, ლოცვასთან დაკავშირებით პრობლემები არ არის. აზერბაიჯანის ხელისუფლება აქცევს განსაკუთრებულ ყურადღებას. ორ ქვეყანას შორის რელიგიური საკითხი არ დგას, რადგან ეს ის თემა არ არის, რომელშიც პრობლემებია. პირიქით, დაწყებული თავად პრეზიდენტისგან, გაგრძელებული ყველა რელიგიური სტრუქტურის ხელმძღვანელით, ყველანაირად ცდილობენ, კახის ეკლესიას ხელი შეუწყონ. შესაძლოა, მოსახლეობაში რამდენიმე პრეტენზია ისმოდეს, მაგრამ ამას მასშტაბური სახე არ აქვს. არ არის ისეთი პრობლემები, რამაც შეიძლება დისონანსი შეიტანოს ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობაში.“

საელჩოს ოპტიმისტური შეფასებების მიუხედავად, ჰერები ქართველებსა და საქართველოს ხელისუფლებას უყურადღებობაში ადანაშაულებენ და სურთ, რომ მათთან ხშირად ჩავდიოდეთ. ისინი მხოლოდ ყურადღების დეფიციტს გძნობენ და ჩვენგან მეტ სითბოსა და თანადგომას ითხოვენ.

ილია მარტყოფლიშვილი

ულოცავენ!

თამილა ნადირაშვილს!

ჩვენო საყვარელო თამილა, გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს შენს საყვარელ შვილ ნინოსთან, დედასთან, ძმა თემურთან, რძალ ნანასთან და ძმიშვილ ნიკასთან ერთად. ძალიან გვიყვარხარ ყველას. მინდა, მოვესწრო შვილიშვილების დაოჯახებას.

დედა ლილი, **ბიძა** ვალიკო, **დეიდა** მიმოზა გოგილაშვილები **ოჯახებით.**

იყიდება!

იყიდება კერძო სახლი დედოფლისწყაროში, ჰერეთის ქუჩა №160 (ჰერეთისა და ალადაშვილის ქუჩების გადაკვეთასთან ახლოს) დაგვიკავშირდით:

☎ 599-87-56-22
599-40-96-19

გიგო ბოსტაშვილი

იყიდება ბინა!

ქ. დედოფლისწყაროში, ცენტრალურ მაგისტრალზე, ყოფილი მესამე სკოლის (ილიაუნის ფილიალი) წინ, იყიდება ერთოთახიანი კორპუსის ბინა პირველ სართულზე, სათავსოთი. რუსთაველის ქუჩა №116. **ფასი: 2 700 $.**

☎ 593 275–275

ამინდი — დედოფლისწყარო

	ორშაბათი 03.12		სამშაბათი 04.12		ოთხშაბათი 05.12		ხუთშაბათი 06.12		პარასკევი 07.12		შაბათი 08.12		კვირა 09.12	
	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
	4°	2°	4°	3°	6°	3°	8°	4°	5°	3°	6°	4°	9°	7°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

REDAQCIIS MISAMARTIA:
ქ.ალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია
დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ,
№6014-468.